საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გაგდება ყოვლად უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 21 თებერვალი. 2019 წ. №37 (8703) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ევროპის გულში ერთგული მეგობარი გვყავს!

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, გერმანიის ფედერალურ პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს ბელვიუს სასახლეში შეხვდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, შეხვედრებზე, რომლებიც ბელვიუს სასახლეში პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში გაიმართა, მხარეებმა საქართველო-გერმანიის ორმხრივი ურთიერთობები და საქართველოს ევროპული მისწრაფები განიხილეს. აღინიშნა გერმანიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში. როგორც სალომე ზურაბიშვილმა შეხვედრებზე განაცხადა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ევროპის გულში, გერმანიის სახით, ასეთი ერთგული მეგობარი ჰყავდეს.

„გერმანია და საფრანგეთი არიან ის ქვეყნები, რომლებიც საქართველოს ხელს შეუწყობენ იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა მალე გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

სალომე ზურაბიშვილი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს ბელვიუს სასახლეში შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველო-გერმანიის ურთიერთობები მისი ვიზიტის შემდეგ ახალ ეტაპზე გადავა.

საქართველოს პრეზიდენტის დელეგაციაში შედიან საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ლაშა ჟვანია, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნათია სულავა.

დახვედრის ოფიციალური ცერემონია ბელვიუს სასახლეში გაიმართა, რომელზეც საქართველოს და გერმანიის სახელმწიფო ჰიმნები შესრულდა. პრეზიდენტები სასახლეში სპეციალურად ცერემონიაზე დასასწრებად მოწვეულ ბავშვებს გაესაუბრნენ. შეხვედრამდე საქართველოს პრეზიდენტმა სტუმრების წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

2-3 კვირაში აფხაზეთს სრული ჩაბნელება ემუქრება! ④

⑤ პრობლემა, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს ბირთვული თანაფარდობა

ერთხელ თიბისიში... ③

თემო გოცაძე:

⑥ დღეს ყველასთვის სანატრელია უბრალოება, სისადავე... ⑨

უმრავლესობა მხარს არ უჭერს!

საპარლამენტო „ამბოხი“ გრძელდება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცხრა დეპუტატის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერას ვერ მიიღებს, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

„პარტიის თავმჯდომარისა და მმართველი გუნდის მიერ გამოითქვა მზადყოფნა, კონსტიტუციურ ფარგლებში ემსჯელა მოსამართლეთა უვადო დანიშვნის საკითხზე. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის ცალკეული წევრების მიერ, საკუთარ გუნდთან შეთანხმების გარეშე, მომზადდა კანონპროექტი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის იმ დებულებებს, რომლებიც, თავის მხრივ, ევროსაბჭოსა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე, სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად იქნა შემუშავებული. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ინიციატივის ამ ფორმით მიღების შემთხვევაში, საერთო სასამართლოების სისტემაში განახევრდება მოსამართლეთა რაოდენობა და გაღრმავდება პრობლემა სასამართლოების გადატვირთულობისა და საქმეთა განხილვის გაჭიანურების თვალსაზრისით. იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო პარტნიორების დასკვნების თანახმად, მოსამართლეთა რაოდენობა საქართველოში სულ მცირე 100 მოსამართლით გაზრდას, ოპტიმალურ შემთხვევაში კი — გაორმაგებას საჭიროებს, მოსამართლეთა რაოდენობის განახევრება სასამართლო სისტემას მძიმე პრობლემებს შეუქმნის და შესაძლოა, მისი პარალიზებაც გამოიწვიოს. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ცხადია, ეს კანონპროექტი ვერ მიიღებს საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერას“, — განაცხადა კობახიძემ და გამოხატა მზადყოფნა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე, მომზადდეს ისეთი წინადადებები მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის საკითხზე, რომლებიც იქნება შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციასთან და ევროსაბჭოს რეკომენდაციებთან, აგრეთვე არ გააღრმავებს პრობლემას სასამართლოს გადატვირთულობის თვალსაზრისით.

„მმართველი გუნდი იმოქმედებს სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად და შექმნის ყველა პირობას სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების უზრუნველსაყოფად“, — განაცხადა კობახიძემ.

„ჩაიხედონ თავიანთ გულში, პასუხი გასცენ სინდისს!“

უმჯობესია, დღეს დეპუტატები დაუპირისპირდნენ პოლიტსაბჭოს და მის გადაწყვეტილებას, ვიდრე დაუპირისპირდნენ ქართველ ხალხს — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გედევან ფოფხაძემ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს განცხადების კომენტირებისას.

ფოფხაძის თქმით, მმართველმა გუნდმა ეს კანონპროექტიც უნდა დაამტკიცოს, კონსტიტუციაც უნდა შეცვალოს და აღიაროს, რომ უვადო მოსამართლეების ინსტიტუტის შემოღება შეცდომა იყო ჩინჩალაძე-მურუსიძის პირობებში.

საპარლამენტო უმრავლესობა ეკა ბესელიას და 8 დეპუტატის კანონპროექტს, რომელიც მოსამართლეთა უვადო გამწესების 5 წლით შეჩერებას გულისხმობს, მხარს არ დაუჭერს. პოლიტსაბჭოს სხდომას ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობდა.

პატრიარქმა მოსკოვს დაქვემდებარებული უკრაინის საპატრიარქოს დელეგაცია მიიღო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უკრაინის ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქო) საგარეო განყოფილების ხელმძღვანელს, ბორისპოლისა და ბროვარსკის მიტროპოლიტ ანტონს (პაკანიჩი) და მის თანმხლებ პირებს უმასპინძლა. მიღებას საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, მიტროპოლიტი შიო (მუჯირი), მღვდელმთავრები და სამღვდელოება ესწრებოდნენ.

საპატრიარქოს განცხადებით, შეხვედრა არაოფიციალური იყო და სტუმრობის მიზანს წარმოადგენდა უკრაინაში განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოწოდება და მათი პოზიციის ჩვენთვის გაცნობა. ითქვა, რომ ტომოსის გადაცემის შემდეგ სხვადასხვა ტაძრებსა და რეგიონებში ხშირია კონფლიქტი მორწმუნეთა შორის ეკლესიების კუთვნილებასთან დაკავშირებით, რაც დიდ დაპირისპირებას ქმნის მრევლში და სასულიერო პირებთან მიმართებაში.

პატრიარქმა სტუმრებს მადლობა გადაუხადა და კიდევ ერთხელ გამოთქვა გულისტკივილი შექმნილი სიტუაციის გამო, ამასთან მოუწოდა ლოცვის გაძლიერებისკენ, რათა ღვთის მადლით დაიძლიოს პრობლემა და მართლმადიდებელთა ერთობა შენარჩუნდეს.

მამუკა ბახტაძე აშშ-ის ეროვნული თავდაცვის აკადემიის დელეგაციას ესაუბრა

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობები ყველაზე მაღალ ნიშნულზეა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძისა და აშშ-ის ეროვნული თავდაცვის აკადემიის დელეგაციის შეხვედრისას აღინიშნა.

გენერლების დელეგაციას, გენერალ ფილიპ ბრიდლავის ხელმძღვანელობით, პრემიერმა საქართველოში ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და ხაზი გაუსვა აშშ-თან სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის თავდაცვის სფეროში წარმატებულ თანამშრომლობას. ამ კონტექსტში აღინიშნა წვრთნები, რომელიც ყოველწლიურად ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორობით მიმდინარეობს, კერძოდ — სწავლება „ღირსეული პარტნიორი“ (Noble partner).

საუბარი შეეხო რეგიონში არსებულ გამოწვევებს და შავი ზღვის უსაფრთხოებას. როგორც პრემიერ-მინისტრმა შეხვედრაზე აღნიშნა, შავის ზღვის უსაფრთხოება აქტუალური იყო მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, სადაც ყველა მხარე შეთანხმდა, რომ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გარეშე ტრანსატლანტიკურ რეგიონში გრძელვადიანი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი ვერ იქნება.

ყურადღება გამახვილდა საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივაზე და ნატოსთან წარმატებულ თანამშრომლობაზე, ასევე აშშ-ის მხარდაჭერის მნიშვნელობაზე, რათა ქვეყანამ ინტეგრაციის გზაზე პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინეთის რესპუბლიკის დელეგაცია ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციისა და მისი გამოძიების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი პირები ეწვივნენ.

დელეგაციას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ჯავახაძე შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ფინეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში. ნინო ჯავახაძემ ფინურ მხარესთან საპოლიციო თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მინისტრის მოადგილემ დელეგაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სისტემური განახლების ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნო. შეხვედრაზე პოზიტიურად შეფასდა შვედეთში საქართველოს პოლიციის ატაშეს მიერ ფინეთის რესპუბლიკის დაფარვის თაობაზე საქართველოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

ვიზიტის ფარგლებში, ფინეთის რესპუბლიკის დელეგაციამ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებსა და წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართა. მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს საპოლიციო სტრუქტურული მოწყობა, ფუნქციები და მუშაობის მეთოდები, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის საუბარი შეეხო კიბერდანაშაულის გამოძიების კუთხით გამოცდილების გაზიარებას.

თბილისში ზონალურ-საათობრივი პარკირების წესი პირველი ივლისიდან ამოქმედდება

თბილისში ზონალურ-საათობრივი პარკირების წესი პირველ ეტაპზე, საპილოტე მოდელის სახით, მიმდინარე წლის პირველი ივლისიდან რამდენიმე ქუჩაზე ამოქმედდება, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

„ყველამ ვიცით, რომ თბილისს მრავალი გამოწვევა აქვს და თითოეული მათგანის დაძლევა ჩემთვის და ჩემი თანაგუნდელებისთვის მნიშვნელოვანია. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ თბილისის მუნიციპალიტეტი ყველა გამოწვევის მიმართ ძლიერი იყოს. არის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით პრიორიტეტულია. ერთერთ მათგანს ტრანსპორტით გამოწვეული ჰაერის დაბინძურება და საცობების მზარდი ტენდენცია წარმოადგენს. რასაკვირველია, ეს ის პრობლემაა, რომლის ერთი ხელის მოსმით მოგვარება შეუძლებელია, თუმცა ჩვენ ხელთ არსებული რესურსებით, სწორი სატრანსპორტო პოლიტიკით, რომელიც გრძელვადიან შედეგზეა გათვლილი, პრობლემის მოგვარებასა და გადაჭრას შევძლებთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ქალაქში სატრანსპორტო საშუალებებით გამოწვეული ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი კრიტიკულ ზღვარს აღწევს, რადგან თბილისში 500 000-ზე მეტი ავტომობილი გადაადგილდება.

აშშ-ის ბიუჯეტში საქართველოსთვის დახმარების მოცულობა გაიზარდა

2019 წლის აშშ-ის ბიუჯეტში საქართველოსთვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებები გაზრდილია. აღსანიშნავია, რომ კონსოლიდირებული ასიგნებების აქტი მნიშვნელოვან ჩანაწერებს შეიცავს საქართველოს რეგიონების დეოკუპაციისა და არაღიარების განმტკიცების თვალსაზრისით.

„ტექსტის თანახმად, ხსენებული კანონით გამოყოფილი დაფინანსებით ვერ ისარგებლებს ვერც ერთი ქვეყნის ცენტრალური მთავრობა, თუ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი დაადგენს და ასიგნებების კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს იმის თაობაზე, რომ აღნიშნულმა ქვეყანამ აღიარა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა, ან მათთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები. აგრეთვე ხსენებული კანონით გამოყოფილი რაიმე დაფინანსება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის მხარდასაჭერად.

კანონპროექტი მოუწოდებს აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტს, შესაბამისი ინსტრუქცია მისცეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების აშშ-ის აღმასრულებელ დირექტორებს, რათა მათ მხარი არ დაუჭირონ ნებისმიერი იმ პროგრამის დაფინანსებას (სესხის, კრედიტისა და გარანტიის ჩათვლით), რომელიც არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის კონგრესს მესამე წელია შეაქვს აღნიშნული ჩანაწერი აშშ-ის საკანონმდებლო აქტში, რაც აშშ-ის მიერ საქართველოსადმი დიდ ყურადღებასა და მტკიცე მხარდაჭერაზე მიანიშნებს.

ამას გარდა, ხაზგასასმელია, რომ აქტი „რუსეთის ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდის“ ფარგლებში, ითვალისწინებს არანაკლებ 275 მლნ აშშ დოლარის გამოყოფას ევროპისა და ევრაზიის ქვეყნების, მათ შორის, საქართველოსთვის, სამართალდამცავი და უსაფრთხოების ძალების შესაძლებლობების განვითარებისა და უსაფრთხოების სფეროში აშშ-სა და ნატოსთან თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით. აქვე, აღნიშნულია, რომ დაფინანსების ნაწილი უნდა მოხმარდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიერ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებებისა და სავაჭრო შეთანხმებების შესრულებას, ასევე, საგარეო ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენისა და რუსეთის ფედერაციის მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის შემცირებას.

რაც შეეხება საქართველოსთვის გამოყოფილ დაფინანსებას, აშშ-ის ბიუჯეტის სახელმწიფო, საგარეო ოპერაციებისა და მასთან დაკავშირებული პროგრამები (FY19 SFOPs) ითვალისწინებს საქართველოსთვის გაზრდილ დახმარებას და შეადგენს 127, 025,000 მლნ დოლარს. აღსანიშნავია, რომ ეს თანხა 22 მლნ. აშშ დოლარით აღემატება 2018 ფისკალური წლით გათვალისწინებულ დაფინანსებას“, — ნათქვამია ინფორმაციაში, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

2018-2023 წლებში 227 კმ. ახალი ჩქარსნული მაგისტრალი აშენდება!

„მინისტრის საათის“ ფორმატში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა პარლამენტში გამოსვლისას ჩქარსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის პროცესზე ისაუბრა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობს და ყველაზე მეტი ინვესტიცია საგზაო ინფრატსრუქტურაში იდება.

„იმის გათვალისწინებით რომ ძალიან დიდი ინვესტიციები იდება ჩქარსნულ ავტომაგისტრალში განსაკუთრებით საინტერესოა მისი განხორციელების ეტაპები, ეს არის მარშრუტი წითელი ხიდიდან სარფამდე და სადახლოდან სარფამდე. 2018-2023 წლების განმავლობაში 227 კმ. ახალი ჩქარსნული მაგისტრალის მშენებლობაა დაგეგმილი, რომელზეც სავარაუდოდ 5 მილიარდ 100 მილიონი ლარის ინვესტიცია ჩაიდება. აქედან, მიმდინარეობს 77 კმ. მაგისტრალური გზის მშენებლობა, რომელიც ეტაპობრივად სრულდება 2019-2021 წლებში. დაწყებულია სამობილიზაციო და მოსამზადებელი სამუშაოები 81 კმ. მონაკვეთზე, სადაც ინვესტიცია დაახლოებით 2.1 მილიარდი ლარია. სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს 26 კმ. მონაკვეთზე, ეს არის რიკოთის 2 მონაკვეთი, ჩუმათელეთი-ხევი და შორაპანი-არგვეთა.

ამ მიმართულებით შორაპანი-არგვეთაზე სავარაუდოდ გვექნება გამოსაცხადებელი ახალი ტენდერი. ამ მონაკვეთის დაფინანსება იყო იაპონური, JICA-ს მიერ და მხოლოდ იაპონურ კომპანიებს შეეძლოთ მონაწილეობის მიღება ტენდერის პირობით. სამწუხაროდ, ფასი, რომელიც მივიღეთ 2 იაპონური კომპანიიდან, დაახლოებით 400 მილიონი ლარით აღემატებოდა საპროექტო ღირებულებას და სესხის ღირებულებას. ამიტომ, დამფინანსებელთან შეთანხმებით ეს პროცესი შევწყვიტეთ და მიდის მოლაპარაკებები 2 დონორ ორგანიზაციასთან, რათა უსლოეს მომავალში დავიწყოთ ეს პროექტი“, — განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

ერთხელ თიბისიში...

TBC ბანკის სკანდალის შემდეგ, პროკურატურისა და ბანკის ნათქვამზე მეტი ადვოკატ კორძაძისგან შევიტყვეთ. ჩვენთან ხომ აქამდე ყველა ადვოკატი თავისი კლიენტის დაცვას იწყებდა სიტყვებით: „ეს მონტაჟია“, „მტკიცებულებები ფალსიფიცირებულია“, „მას არაფერი ჩაუდენია“ და ა.შ. კორძაძემ კი ეს სტანდარტი დაარღვია და გულწრფელად აღიარა: 17 მილიონი კი არა, 80 მილიონი აიღო ჩემმა კლიენტმა, უბრალოდ, ეს საქმე უკვე ხანდაზმულია და ვეღარ დაიჭერთო. თანაც, ბანკისვე სასარგებლოდ გამოფატრა თავისი ბანკიო. მეტი რა უნდა ეთქვა ამ პატიოსან კაცს?! რამხელა „კრიშა“ უნდა ჰქონოდა მამუკა ხაზარაძეს, ეს გაუგონარი მაქინაცია რომ გაებედათ მაშინ, როცა პატარა გადაცდომაზე ადეიშვილის აჩრდილი ელანდებოდათ ქართველ ბიზნესმენებს და ეს „კრიშა“ რომ მხოლოდ სააკაშვილი შეიძლებოდა ყოფილიყო – ცალკე თემაა. მოკლედ, კორძაძემ კიდევ უფრო დაუმძიმა დანაშაული ხაზარაძეს და ახლა ყველაზე საინტერესო ისაა, თუ ვინ იხეირებს ცხენიდან მხედრის ჩამოგდებით, რომ შემდეგ პატარა ფინანსური იმპერიის ტახტს დაეპატრონოს. კრიმინალური ლოგიკით, ეს სწორედ ის „უისელბლოუერი“ უნდა იყოს ვინც ბოსის საიდუმლო გარეთ გაიტანა.

ვინ არის „ჩამშვები“? ვინ ჩაუგდო ამერიკელებს (ფინანსური მონიტორინგის სამსახურს) ფულის გათეთრების ხანდაზმული სქემის შესახებ ზუსტი ინფორმაცია? ვინ იქნება საჩვენებელ სასამართლო პროცესზე ხაზარაძის მაფიის მთავარი მოწმე – მისი ჯო ვალაჩი?

თადუმაძის უწყებამაც რამდენჯერმე ახსენა ფინანსური მონიტორინგის სამსახური, ანუ თითი მსოფლიო ფინანსური ჟანდარმერიისკენ გაიშვირა და ამით რეალური „ოქროს მოწმე“ დაფარა. წესით ყველაფერი ძალიან ბანალურად უნდა იყოს. როგორც ყოველთვის, ციხე შიგნიდან გატყდა. ამბავი იმას უნდა გაეხეთქა, ვინც თვითონ მონაწილეობდა ფულის გათეთრების სქემაში. ესენი არიან: მამუკა ხაზარაძე, პაატა ღაძაძე, ვახტანგ ბუცხრიკიძე, ბადრი ჯაფარიძე და „ჭუტა“ წერეთელი.

გამორიცხვის მეთოდით გავყვეთ სიას: ჭუტა წერეთელი თავიდანვე უნდა გამოვრიცხოთ. ის არ არის „ოჯახის“ წევრი და ვერანაირად ვერ გახდება მისი ბოსი. წერეთელმა ამ სქემაში მხოლოდ „არასიცილიელი“ გარე მოთამაშის როლი შეასრულა, რაშიც, ალბათ, თავისი საკომისიოც აიღო.

ბადრი ჯაფარიძე ნამდვილი სუბ-კაპოა, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა TBC-ში. იმდენად გავლენიანი, რომ ერთი პერიოდი პარლამენტის წევრადაც გაუშვეს. ჯაფარიძე კურირებდა TBC-ს მოლაპარაკებებს უცხოეთთან. სწორედ მისი დამსახურებაა 2009 წელს 160 მილიონ დოლარზე მეტის მოზიდვა ბანკში, ასევე ჯაფარიძე კურირებდა კომპანია ბორჯომს... მოკლედ, უიმისოდ TBC საქართველოს უმსხვილეს ფინანსურ ჯგუფად ვერ იქცეოდა. ის უშუალოდაა ჩართული ხაზარაძის მანიპულაციებში და, შესაბამისად, ამბის გამომტანი თავად ვერ იქნებოდა.

პაატა ღაძაძეც გავლენიანი კაცია ბანკში, ის იყო მთავარი პირი დაკრედიტების ნაწილში, შეხება ჰქონდა ხელისუფლების მაღალ ეშელონებთან, ერთი პერიოდი ქონების მართვის სამინისტროშიც მუშაობდა. თუმცა ის ფრთხილი კაცია და მისი გაქანება არასოდეს გასცდენია „კაპორეჯიმეს“ ფარგლებს – ტაქტიკურ-შემსრულებლურ ფუნქციას.

სულ სხვა საქმეა ვახტანგ ბუცხრიკიძე. ის ბანკის გენერალური მდივანია, TBC-ს დაარსებისას ის ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა, შემდეგ კი გადავიდა ბანკში და დღემდე ითვლება ერთ-ერთ წამყვან ფიგურად. ბუცხრიკიძე მენეჯერია. ის ერთადერთი ნამდვილი ბანკირია „ოჯახში“. მას შესაბამისი განათლებაც აქვს მიღებული და სწორი ლაპარაკი და რჩევების მიცემაც შეუძლია. ერთი სიტყვით, ბუცხრიკიძე კარგი კონსილიერია, რომელსაც თავისი პროფესიონალიზმით აქვს აშენებული „თიბისი ბანკი“ საძირკვლიდან სახურავამდე. მას რეალურად შესტკივა გული კომპანიაზე და, ხედავდა რა დამფუძნებელი მამების მიერ კომპანიის მიზანმიმართული გაკოტრების მცდელობას – სწორედ მას შეეძლო მიეწოდებინა ინფორმაცია თავისი ბოსის მაქინაციების შესახებ ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის. ამ შემთხვევაში, ბუცხრიკიძე ჯო ვალაჩი კი არა, უფრო „ნუდლსია“, რომელმაც კეთილი განზრახვით „ჩაუშვა“ საკუთარი მეგობრები „თიბისის“ გადასარჩენად.

გია გაბრიჭიძე

„თიბისი ბანკის“ საქმე და შეტევა კერძო ბიზნესზე

გაეროს წარმომადგენელი გამოძიების გამჭვირვალობას ითხოვს

„თიბისი ბანკის“ საქმე და სახელმწიფო შეტევა კერძო ბიზნესზე – მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ დაწყებულ გამოძიებას გაეროს წარმომადგენელი ეხმაურება და ამბობს, რომ საქმეს უცხოელი ინვესტორებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს.

„საქართველოს სჭირდება ძლიერი ფინანსური ინსტიტუტები და ძლიერი ფინანსური რეგულაციები – ეს არის გასაღები ნებისმიერი ბიზნესგარემოსთვის. ამას გარდა, საქართველოს სჭირდება ძლიერი სასამართლოც. სამივე სფერო ახლა გამოცდას გადის. ველოდებით, რომ TBC ბანკის საკითხი გამჭვირვალედ და ქვეყნის კანონმდებლობის დაცვით ჩატარდება.

ცხადია, TBC ბანკის გარშემო ბევრი სპეკულაციაა, ამიტომ მოვუწოდებთ, რომ პროცესი იყოს გამჭვირვალე და სამართლიანი, ინვესტორები დააკვირდებიან პროცესს და დაელოდებიან შედეგს“, – ამბობს გაეროს კოორდინატორი და განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ლუიზა ვინტონი.

◎ ავსა კაცსა ავი სიტყვა...

„ჩვენისთანა ბედნიერი განა არის საძმე ერი?!“

რა ეშველება ასეთ გაბოროტებულ ხალხს?

„ვაზელინი არ გიხდებათ“ – ურცხვად დამიკომენტარა გუშინწინ ჩემს უწყინარ სტატუსზე ქუთაისელმა **ეკა კაკაურიძემ** (მსახიობ **გიზო კაკაურიძის** ქალიშვილმა), ვისთანაც ძალიან თბილი და ადამიანური ურთიერთობა მქონდა.

უფრო გაოგნებული დავრჩი, ვიდრე მეწყინა – ჩემი ჟურნალისტური პრაქტიკის მანძილზე ამის თქმის უფლება არავისთვის მიმიცია, რადგან, „ვაზელინობა“ (დითირამბები, თეთრზე შავის თქმა, ან პირიქით) ჩემს ხასიათში არ არის. ყოველთვის ვცდილობ, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ვწერო (ვთქვა) ის, რასაც ვფიქრობ და ობიექტური ვიყო მოვლენის ან პიროვნების შეფასებისას.

რა დავაშავე გუშინ ისეთი, რომ არ „მაპატიეს“ და „ვაზელინობა“ დამწამეს“?!

არც არაფერი – ყოფილ ექსპრემიერს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გმირს, **„ქართული ოცნების“** ლიდერს, ბატონ **ბიძინა ივანიშვილს** ჩემებურად დაბადების დღე მივულოცე.

დიახ, ჩემებურად, ყოველგვარი დითირამბების და ქვემძრომობის გარეშე!

რატომ არ შეიძლებოდა მიმელოცა? ან ვინმესთან უნდა შემეთანხმებინა, მიმელოცა თუ არა?!

სხვათა შორის, წესად მაქვს: ყველა ფეისბუქმეგობარს, პირადად ვიცნობ თუ არა, ვულოცავ იუბილეს და იმათი სიხარულის თანაზიარი ვხდები. რა არის ამაში ცუდი?! პირიქით, მოყვასისადმი გაგზავნილი კეთილი სურვილები ქრისტიანულ ჩარჩოში ჯდება და მეც მახარებს...

შეიძლება დაბადების დღე „მივულოცო“ ექსპრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილსაც,** კაცს, რომელსაც ყოველთვის ობიექტური კრიტიკის ქარცეცხლში ვატარებ (კრიტიკა არც ივანიშვილისთვის დამიკლია), მაგრამ სურვილებში ჩავუთქვა, რომ მიშამ **ხელი აიღოს ავკაცობაზე და ერის წინაშე ჩადენილი დანაშაული მოინანიოს!**

დიახ, დიახ, თუ საჭიროდ ჩავთვალე, სააკაშვილსაც შეიძლება „მივულოცო“ იუბილე. საინტერესოა, მაშინ რა ეპითეტით შემამკობენ ჩემზე ნაკლებად „ცოდვილნი“?!

...როგორც ვთქვი, **კაკაურიძის** ეპითეტმა თან გამაოცა, თან გამაღიზიანა, მაგრამ ქალბატონთან პოლემიკის ზღვარი არ გადამილახავს და რბილად ვუპასუხე.

„ვაზელინობა“ კიდევ არაფერი, რაც მე იმ სტატუსზე კომენტარები წავიკითხე, ცუდად გავხდი – **ხალხი ავადაა, თან სერიოზულად. მეტიც, იმდენად გაბოროტებულნი არიან, ქრისტესმიერი სიყვარული და მიტევება უცხოა მათთვის. ეს მაშინებს ყველაზე მეტად, თორემ მე უხამსი ეპითეტებით შემამკობენ თუ არა, ნაკლებად მაწუხებს, რადგან არ დამიმსახურებია!**

„რა დანაშაული გაქვს ჩადენილი ისეთი, რომ ჰურიას ელაქუცები თვითგადარჩენისთვის?“ – წერს ყოფილი ფეისმეგობარი **დავით მეგრელიშვილი** და მეგობრობას „მიუქმებს“.

მეორე უფრო შორს მიდის და „რკინისებური ლოგიკით“ ასკვნის: **„საქართველოს მტერს, ქართველი ხალხის სულში ჩამფურთხებელს როგორ უნდა მიულოცო დაბადების დღე... იგი ღირსეული და დასაფასებელი მტერიც კი არაა“...**

ეს აშკარად გონებადაბინდული მამალი ნაცის ნაბოდვარია!

სხვა **„მარგალიტების“** ჩამოთვლა, ალბათ, საჭიროც არ არის.

ვისაც ჩემს „ვაზელინობაში“ ეჭვი ეპარება, ვურჩევ წაიკითხოს 2011 წლის 30 ოქტომბრის გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებული სტატია: „ომახიანი გზავნილი ჭორვილადან, ანუ საქართველო ისევ მერიის მოლოდინშია“, ხოლო, ვისაც სურვილი აქვს დარწმუნდეს ჩემი ობიექტური (ვიტყოდი, სახელმწიფოებრივი) პოზიციის თანმიმდევრულობაში, გაეცნოს ჩემივე პუბლიცისტურ კრებულს „სამართებლის პირზე“.

ამით კი არ ვამტკიცებ (რაში მჭირდება დამტკიცება), რომ მე „ვაზელინი“ არ ვარ, უბრალოდ, იმის თქმა მინდა – 2011 წლის ოქტომბრიდან დღემდე კალამი არ დამიდვია და სახელმწიფოსთვის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ობიექტურობის პრიზმიდან, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განვიხილავ. რა ჩემი ბრალია, თუ ხალხი გაბოროტებულია: არც კითხვის სურვილი აქვთ და არც გაგება შეუძლიათ?!

ვინც ჩემს პუბლიცისტურ სტატიებს **„თანამედროვე ლუციფერი და შუაზე გახლეჩილი საზოგადოება“** ან **„როგორ მოისყიდა და დაიმონა ივანიშვილმა ქართული ინტელიგენცია“** წაიკითხავს, ენა როგორ მოუბრუნდება „ქამელეონობა“ და ქვემძრომობა დამაბრალოს?! თუმცა, ეს არ არის მთავარი. **მთავარია, რომ ხალხმა ყველაფერი ერთ კაცს აჰკიდა!**

მე არ ვიცი, ბატონი **ბიძინა ივანიშვილი** ზედმეტად ფრთხილი კაცია თუ არა, სხვათა დავალების შესრულებას უფრო წინა პლანზე აყენებს თუ საქართველოს თავისთავადობის შენარჩუნებისთვის ზრუნვას, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: **ჩვენ ვართ დოყლაპიები, ჩვენ, მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი და თითი თითზე არ დაგვიკარებია სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად, ჩვენ მხოლოდ ერთმანეთის ჯიჯგნა, ერთმანეთის მტრობა და ერთმანეთისთვის კვანტის გამოდება შეგვიძლია, რითაც კარგად სარგებლობენ სამყაროს და, შესაბამისად, საქართველოს დაუძინებელი მტრები. მე არ ვამტკიცებ, რომ გლობალიზაციის ნამსხვრევებს ბოლომდე გადავურჩებით, მაგრამ, ერთად ყოფნით და სახელმწიფოს ინტერესებზე ფიქრით და მოქმედებით, რაღაცის შერბილება, გადარჩენა რომ შეგვიძლია, ფაქტია!..**

თუმცა, მოქმედებას და ქვეყნის გადარჩენისთვის შეუპოვარ ბრძოლას ვინ ჩივის, ისე გავბოროტდით, ერთმანეთი გვძულს, ისე გავთავხედდით, რომ ერთმანეთის დაბადების დღის მილოცვასაც არ ვპატიობთ!

არ ვიცი, ასე გაბოროტებულ და ფეხებზე მკიდია ერს როგორ შეიწყალებს და შეიწყნარებს უფალი?!

ზაურ ნაჭყებია

ევროპა - ქვემო ქართლში

ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებები და ვალდებულებები წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად

** იყო** მოქალაქე, ეს უკვე პასუხისმგებლობაა და პატივი. მოქალაქეს ამ სრულფასოვანი პატივისთვის უფლებებიც გააჩნია და ღირსებებიც. მოქალაქეს აქვს უფლება, მისი ღირსება დაცული იყოს, აქვს უფლება ჰაერზე, ჯანდაცვასა და წყალზე. წყლით მოქალაქის უზრუნველყოფა არის სახელმწიფო ვალდებულება და საერთაშორისო კონვენციის აღიარება, სანიტარიული ნორმების დაცვა და წყლის ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომობის აუცილებლობა. ჩვენ თუ გვინდა, ვიცხოვროთ სრულყოფილ სახელმწიფოში, სადაც ადამიანებზე ზრუნვა უმთავრესი მოვალეობაა, მაშინ წყლით მომარაგების საკითხი მაინც უნდა მოვაგვაროთ.

ქალაქებსა და სოფლებში დღემდე წყლით მოსახლეობის მომარაგების საკითხი მწვავედ დგას. სწორედ წყლით მომარაგება არის ჯანმრთელობისა და ჰიგიენის აუცილებელი პირობა, რისი უფლებაც ნებისმიერ მოქალაქეს აქვს. **რა რაოდენობის სასმელი წყალი უნდა მიეწოდებოდეს თითოეულ ადამიანს დღე-ღამეში? სამომხმარებლო და ჰიგიენური მოთხოვნების ადეკვატურად დასაკმაყოფილებლად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დადგენილი საშუალო რაოდენობაა თითოეულ ადამიანზე 50-100 ლიტრამდე წყალი.**

„ადეკვატური საცხოვრებელი პირობების“ საერთაშორისო სტანდარტი მოიცავს კონკრეტულ ვალდებულებებს უსაფრთხო სასმელ წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის სახით“ (სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი).

სწორედ თითოეულ მოქალაქეზე დღე-ღამის განმავლობაში ორმოცდაათიდან ას ლიტრამდე წყლის ხელმისაწვდომობაა აუცილებელი კანონის მიხედვით, წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა მოქალაქის უფლებები და ილახება მისი ღირსებები. 13-14 თებერვალს ბულაჩაურში ჟურნალისტებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე — „ადამიანის უფლებები წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე“. ექსპერტმა მაკა ნუცუბიძემ ისაუბრა თემაზე: ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებები და ვალდებულებები წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. „მედიატურის ორგანიზატორები იყვნენ: CENN, ევროკავშირისა და New World Program-ის მიერ დაფინანსებული პროექტების: „წყალი სიღარიბის აღმოსაფხვრელად“ და „საქართველოს WASH (წყალი, სანიტარია და ჰიგიენა) სათემო ინიციატივა (GC-WASH). მედიატურის ფარგლებში ჟურნალისტებმა დაათვალიერეს ეკომიგრანტები, სოციალურად დაუცველი და ლტოლვილი მოსახლეობა. წყლით მომარაგების მსურველი დმანისის საავადმყოფოს თავშესაფარში 22 ოჯახია, აქედან 7 — ეკომიგრანტი, ხოლო დანარჩენი — სოციალურად დაუცველები. თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში 200 კომლია, აქედან უმრავლესობა — ეკომიგრანტი. „ელევატორის“ დასახლებაში 45 ოჯახი ცხოვრობს, სადაც 35 დევნილი და სოციალურად დაუცველია.

თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროს საბავშვო ბაღი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აგრეთვე ქვემო ქართლის რეგიონი და ეს სოფელიც ეკომიგრანტებით და ლტოლვილებითაა დასახლებული. ესენი არიან ეკომიგრანტები მაღალმთიანი რეგიონებიდან — სვანეთიდან და აჭარიდან, დევნილები აფხაზეთიდან, სამაჩაბლოდან და კოდორის ხეობიდან. სოფელ წინწყაროს საბავშვო ბაგა-ბაღში სულ 97 სკოლამდელი აღსაზრდელია, ხოლო მომსახურე პერსონალი — 22. შენობა ნაქირავებია, რადგან საკუთარი არ გააჩნიათ. რაც შეეხება წყლით მომარაგებას, სასმელი წყალი არ იყო და როგორც ბაგა-ბაღის სკოლამდელი აღზრდის უფროსმა მასწავლებელმა ფიქრია მეშველიანმა თქვა: „CENN სოფელში შემოსვლა და ჩვენი ბაღით დაინტერესება ნამდვილი გამართლება იყო. სასმელად ვარგისიანი უსაფრთხო წყალი კი არა, საერთოდ სანიტარიული საჭიროებებისთვისაც არ იყო წყალი, ახლა ლაბორატორიულად შემოწმებული წყლით ვსარგებლობთ, სანიტარულ ნორმებს შესაბამისად ვიცავთ და საპირფარეშოებიც მოწესრიგებულია, ეს საკუთარი სახლია და ნაქირავები გვაქვს. გვპირდებიან, რომ ახალ ევროსტანდარტულ შენობას ააშენებენ და ამას იმედის თვალით ვუყურებთ. როდის იქნება, არ ვიცით, მანამდე კი ყველას, ვინც თანადგომას გვიცხადებს და მხარში გვიდგას, მინდა, მადლობა გადავუხადო“. ბევრს ვლაპარაკობთ ევროპულ ღირებულებებზე და ელემენტარული საცხოვრებელი პირობები არ გააჩნიათ მოქალაქეებს. სკოლამდელი აღზრდის ბაგა-ბაღებსა და სკოლის შენობებში დასალევ და უსაფრთხო წყალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არ არის მოწყობილი საპირფარეშოები, რაც ავადმყოფობის კერადაც შეიძლება ჩაითვალოს და, შესაბამისად, უფლებების დარღვევადაც.

ახლა ერთ თავშესაფარზეც მოგიყვებით: დმანისში უპატრონოდ მიტოვებული ყოფილი საავადმყოფოს შენობა დაცარიელდა და გაპარტახდა. საძირკველში წყალია ჩამდგარი და შენობის სახურავი დაზიანებულია, მოშლილია ყველანაირი ინფრასტრუქტურა. 3 წლის წინათ მოსახლეობა, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაშია, შესახლდა ამ შენობაში. არც შუქი და არც წყალი! მხოლოდ ცარიელი კედლები! სურაჯ ოგნაძის ოჯახი ექვსი მცირეწლოვანი წევრისგან შედგება. სურაჯი ელექტრიკოსია, მაგრამ რაიონში სამსახური ვერ იშოვა. მისი მეუღლეც უმუშევარია და სოციალური დახმარებისა და საქველმოქმედო პაკეტების იმედად არიან.

სხვა სოციალურად დაუცველებთან და ლტოლვილებთან ერთად მესტიის რაიონის სოფელ ლატალიდან არის ეკომიგრანტი იურისტი, აფხაზეთის ომის ვეტერანი გოჩა ივეჩიანი ძალოვანი სტრუქტურის, პოლიციის ყოფილი მაიორი აქვე ცხოვრობს და შეძლებისდაგვარად ეხმარება თავის მეზობლებს ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის დასამყარებლად, რომ ადამიანური პირობებით მათაც ისარგებლონ. ასე ტკბილად და მეზობლურად ცხოვრობენ ჩვენი ქვეყნის ლტოლვილები, უმწეოები და ეკომიგრანტები გაურკვეველი მომავლის იმედად! ადგილობრივ ხელისუფლებას არა აქვს უფლება, რაიმე სამუშაოებისთვის თანხა გამოყოს. არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არიან აკრედიტებულები და მათ მისიას სიღარიბის დაძლევის სტრატეგია წარმოადგენს, ასეთ შენობებს რეაბილიტაციას ვერ უტარებენ. უამრავი ისეთი შენობაა გადაცემული ეკონომიკის სამინისტროსთვის, რომელიც ინგრევა, ლპება და იშლება, ამ დროს კი ადამიანები ჩვენს ქვეყანაში უსახლკარო და პატივაყრილები არიან პირადი საკუთრების უფლების გარეშე! ამ შენობას ენგრევა საძირკველი, არა აქვს სახურავი და სოციალურად დაუცველები კი არა, ვინ შეძლებს შეაკეთოს სახელმწიფო ქონება?!.. ქონება, რომელიც ინგრევა... ასეთი მაგალითი უამრავია საქართველოში: სახლები ადამიანების გარეშე და ადამიანები სახლების გარეშე! სიღარიბესთან ბრძოლა და მოსახლეობის მხარდამჭერი პროექტების განხორციელება უნდა დაიწყოს წყლით მომარაგების მოწესრიგებითა და ჰიგიენური ნორმების დაცვით.

„ძირითადი პრობლემები, რაც ჩვენ მიერ ჩატარებულმა WASH ტექნიკური შეფასების ანგარიშმაც ცხადყო, იყოს ის, რომ თითქმის ყველა სკოლას წყლის და საკანალიზაციო სისტემის პრობლემა აქვს.

ამბულატორიების ფუნქციონირებისთვის არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ბაღების ერთ ნაწილს სასმელად ვარგისი წყალი არ მიეწოდებოდა, პრობლემების დაძლევა კი WASH საბჭოებსა და თვითმმართველობებთან მჭიდრო თანამშრომლობით მოვახერხეთ, ასევე ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის — **„ადამიანის უფლებათა ცენტრისა“ და „ქალი და სამყაროს“ აქტიური ჩართულობით“,** — ამბობს CENN კორდინატორი მარიკო წიქორიძე. მედიატური სასიხარული ამბით დავასრულეთ: მარნეულში, „ელევატორის“ დასახლებაში 28 წელია საჩხერელი ეკომიგრანტები გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ, ეკომიგრანტობას დევნილობაც დაემატა, რადგან მათი სოფლის ტერიტორიები რუსებს აქვთ ოკუპირებული. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შემუშავდა გეგმა და სულ მალე საჩხერელი ეკომიგრანტ-დევნილები საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდებიან. მათ კეთილმოწყობილ კორპუსებში შეასახლებენ. ალტერნატივაც შესთავაზეს — მიწის ფართებზე საკუთარ სახლებს აუშენებენ. ასე რომ, 28 წლის გასვლის შემდეგ ჩვენს ქყვეყანას ორმოცდაათამდე საკუთარი სახლის მეპატრონე ეყოლება და ორმოცდაათით ნაკლები ეკომიგრანტი!

ნაზი მეშველიანი

2-3 კვირაში აფხაზეთის სრული ჩაბნელება ემუქრება!

სულ **რაღაც 2 კვირაში ენგურჰესმა შეაძლოა, მუშაობა შეაჩეროს წყალსაცავზე წყლის დონის კრიტიკული ვარდნის გამო. ეს, რასაკვირველია, პრობლემების წინაშე დააყენებს საქართველოს ენერგოსისტემას, მაგრამ სეპარატისტული აფხაზეთისთვის კი ნამდვილი განაჩენი იქნება. საქმე ისაა, რომ ზამთარში ენგურჰესსა და ვარდნილ-ჰესზე გამომუშავებული ენერგიის თითქმის 100 პროცენტი აფხაზებს მიაქვთ. ამ პერიოდში დანარჩენი საქართველო მაინც ვერ სარგებლობს გიგანტური ჰესის მომსახურებით, შესაბამისად, ჰიდროელექტროსადგურის გაჩერება, სწორედ სეპარატისტებისთვის იქნება უდიდესი პრობლემა.**

სოხუმის რეჟიმს მოუწოდებენ, რომ ან ელექტროენერგია დროებით რუსეთიდან შემოიტანოს, ან შეამციროს მოხმარება, რომელიც ბოლო წლებში 3-ჯერაა გაზრდილი და აბსოლუტურად უკონტროლოა.

სეპარატისტთა სახელმწიფო კომპანია „ჩერნომორენერგოს“ გენდირექტორი **ასლან ბასარიაც** ადასტურებს, რომ ელექტროენერგიის დეფიციტის საშიშროება არსებობს.

„ამ ეტაპზე მთავრობა მუშაობს, რომ საკითხი გადაიჭრას რუსეთის მეშვეობით. ეს არის მთავრობათაშორისი ურთიერთობა, რომელიც იმედს გვაძლევს, რომ საჭირო ელექტროენერგიას გაზაფხულზე რუსეთიდან მივიღებთ. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, აუცილებელია ენერგომოხმარების შემცირებაც“, — განაცხადა მან და იქვე დასძინა, თუკი შეთანხმება არ გამოვა, აუცილებელი გახდება გრაფიკის შემოღება.

ჰესის შესაძლო გაჩერების შესახებ ინფორმაციას ადასტურებს ენგურჰესის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **ლევან მებონია**. მისი თქმით, თუ აფხაზეთში ელექტროენერგიის მოხმარების შეზღუდვის მხრივ გარკვეული ზომები არ გატარდა, 5 მარტისთვის ენგურჰესის წყალსაცავში წყალი აღარ იქნება და აფხაზეთი დენს ვეღარ მიიღებს.

ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ანზორ ჭითანავა** აცხადებს, რომ აფხაზეთი, რა თქმა უნდა, კვლავ არის საქართველოს ნაწილი და უნდა შევუწყოთ ხელი განვითარებაში, მათ შორის — ენერგეტიკულად, მაგრამ ზედმეტად უსამართლოა მიდგომა, რომ სრულად მივცეთ გამომუშავებული ენერგია და შემდეგ ჩვენ ყიდვა დაგვჭირდეს.

„შეფასებაც კი შეუძლებელია, ეს არის ყოველგვარი ნორმის დარღვევა. ენერგეტიკის სექტორში ასეთი უსამართლო განაწილება, არ მგონია, კიდევ არსებობდეს. მწარმოებელი მხარე სრულად იჩაგრება მომხმარებლის პრივილეგიების ხარჯზე. თან ეს ხდება ყოველგვარი წინასწარი მოლაპარაკებებისა და პირობების გარეშე, უბრალოდ, მიაქვთ იმდენი, რამდენიც დასჭირდებათ.

აფხაზეთი საქართველოს ნაწილია და უნდა შევუწყოთ ხელი განვითარებაში, მაგრამ ზედმეტად უსამართლოა მიდგომა, რომ სრულად მივცეთ გამომუშავებული ენერგია და შემდეგ ჩვენ თვითონ ყიდვა დაგვჭირდეს“, — აცხადებს ჭითანავა.

გეძა დანელია

გეოსტრატეგია: ვინ ატყუებს მსოფლიოს?!

პრობლემა, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს ბირთვული თანაფარდობა

აშშ-რუსეთის ვერბალური ომი გადამწყვეტ ფაზაშია შესული და თუ მის ინტენსიურობას წერტილი არ დაესვა, სავალალო შედეგს მიიღებს სამყარო.

სიტყვა მაშინ არის საშიში, როდესაც სინამდვილეს ეფუძნება. სინამდვილე კი ისეთია, ნახევარ ნაბიჯსაც არ ტოვებს ბირთვული ომის თავიდან აცილებისთვის. მაინც რა იმალება სიტყვის უკან – წარღვნით რომ ემუქრება მსოფლიოს?

ამ შემთხვევაში საშუალო და მცირე მანძილის რაკეტების შექმნა, რომელსაც შეუძლია ბირთვული იარაღის ტარება, ანუ შესაბამის მიზნამდე მიტანა. ბუნებრივად იბადება კითხვა – ვინ ქმნის ასეთ რაკეტებს, ვინ ემუქრება მსოფლიო მშვიდობას?

პასუხი ასეთია – აშშ-ის და მისი მოკავშირეების განცხადებით – რუსეთი, ხოლო რუსეთის თქმით – აშშ. ვინ არის ამ ორს შორის მართალი?

საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტები დამზადდა, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე აშშ-ში და დამზადებიდან დაწყებული, განადგურებამდე, მწვავე განსჯის საგანი იყო მოსკოვ-ვაშინგტონს შორის. საბჭოთა რაკეტების ფრენის რადიუსი 500-დან 2500 კილომეტრამდე იყო, რაც საფრთხეს უქმნიდა ევროპის კონტინენტს, თუკი ისინი საბჭოთა კავშირის დასავლეთ ნაწილში იქნებოდა განთავსებული.

სსრკ-ისთვის ანალოგიური საფრთხის შემცველი იყო ამერიკული რაკეტები განლაგებული ევროპის სახელმწიფოებში. მაშინ პრობლების მოსაგვარებლად აშშ-სსრკ-ს შორის დაიწყო მოლაპარაკება, რომელიც წარმატებით დასრულდა 1987 წლის ხელშეკრულებით. მას ხელი მოაწერეს აშშ-ის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა და საბჭოთა კავშირის კპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა.

ხელშეკრულების მიხედვით ორივე მხარემ შეწყვიტა ამ სახის რაკეტების დამზადება და დაიწყო მისი განადგურება. ორთა მაშინდელმა გადაწყვეტილებამ დიდი შვება მოუტანა მსოფლიოს, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებს, ნაკლები – საბჭოთა კავშირს, ვინაიდან აღნიშნული სახის საჰაერო და საზღვაო ბაზირების რაკეტები დაიტოვა აშშ-მა. ისინი ხელშეკრულებაში არ იქნა შეტანილი. გაუქმდა მხოლოდ სახმელეთო ბაზირების რაკეტები, რამაც ნაწილობრივი შვება და არა მთლიანი (ისე, როგორც ევროპას) მოუტანა სსრკ-ს.

აშშ-ს, რომელიც მრავალი ათასი კილომეტრითაა დაშორებული ევროპის კონტინენტიდან, საშუალო და მცირე მანძილის საბჭოთა რაკეტები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიცავდა საფრთხეს, თუ განხორციელდებოდა თავდასხმა ევროპაში არსებულ აშშ-ის სამხედრო ბაზებზე.

1987 წლის ხელშეკრულების ვადის გასვლას 2017-18 წლებში მოჰყვა სსრკ-ს მემკვიდრის რუსეთის განცხადება – ხელშეკრულების ვადის გაგრძელების ან ახლის დადების თაობაზე. აღნიშნულის შესახებ არაერთხელ განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა. ვალში არც მეორე მხარე დარჩა. აშშ-ის წინა პრეზიდენტმა ობამამ მიმართა რუსეთს იმ დარღვევების თაობაზე, რომელიც ამერიკამ აღმოაჩინა. კერძოდ, ნაცვლად სსრკ-ს მიერ განადგურებული რაკეტებისა, მალულად ახალი რაკეტების დამზადება.

მოსკოვმა თავი იმართლა და მზადყოფნა გამოთქვა ამ სახის რაკეტებთან დაკავშირებით ახალი მოლაპარაკებების გამართვის თაობაზე. ვაშინგტონმა წინადადება არ მიიღო. მან უარი თქვა კრემლის შეთავაზებაზე – ადგილზე შეემოწმებინათ სინამდვილე!

რუსეთ-ამერიკის სიტყვიერი პაექრობა ახალი პრეზიდენტის, ტრამპის დროსაც გაგრძელდა. ამ თემაზე იყო საუბარი გასულ წელს ჰელსინკში პუტინ-ტრამპის მოლაპარაკების დროს. მაშინ მხარეები შეთანხმდნენ, მომავალ შეხვედრაზე დეტალურად განეხილათ 1987 წლის ხელშეკრულება და მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

მომავალი ორი შეხვედრა პარიზსა და ბუენოს-აირესში (საერთაშორისო შეხვედრების ფორმატში) აღარ გაიმართა, აშშ-ის პრეზიდენტის ტრამპის გადაწყვეტილებით. ბუენოს-აირესში მოლაპარაკების ჩაშლის საბაბი უკრაინის გემების ავანტიურაზე, რუსეთის მკვეთრი პასუხი იყო, რაც ჩემი აზრით ვერ ესადაგებოდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის გაუქმებას, როგორიც ევროპის უსაფრთხოებაა.

რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა მოლაპარაკების ჩაშლა არასერიოზულად გამოაცხადა. თან ისიც აღნიშნა, რომ ვაშინგტონის საბაბი უკბილოა, ვინაიდან სინამდვილეში ვაშინგტონს სულაც არ სურდა ამ დარგში მოლაპარაკების გამართვა, ვინაიდან მას გადაწყვეტილი ჰქონდა საშუალო და მცირე მანძილის სახმელეთო ბაზირების ახალი რაკეტების დამზადება და მათი ევროპაში განლაგება. ამ მიზნისთვის აშშ-ის ბიუჯეტში

შესაბამისი თანხებიც გამოიყო.

პუტინის განცხადებას ვაშინგტონმა მძლავრი ანტირუსული PR მიაყოლა და მსოფლიოს დაუწყო მტკიცება, რომ ყველაფერში რუსეთია დამნაშავე, ვინაიდან მან მალულად, 1987 წლის ხელშეკრულების დარღვევით, დაამზადა ახალი რაკეტები, რომელთა ფრენის რადიუსი გაცილებით აღემატება ძველისას!

ამერიკულ დადანაშაულებას რუსეთმა თვალნათელი მაგალითი დაუპირისპირა – სადემონსტრაციოდ გამოიტანა რა ახალი საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტა. ამასთანავე, რუსეთმა მიიწვია მოსკოვში აკრედიტებული უცხო სახელმწიფოების სამხედრო ატაშეები, სამხედრო სპეციალისტები, მედიის წარმომადგენლები, მათ შორის აშშ-ს და ნატოს წევრი ქვეყნებიდან.

ეს ორი უკანასკნელი დემონსტრაციულად არ დაესწრო რუსეთის მიერ მოწყობილ ჩვენებას. მაშინ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ მიმართა მათ, ჩასულიყვნენ მოსკოვში და ადგილზე შეემოწმებინათ ახალი რაკეტა.

წინადადება არ გაიზიარეს ვაშინგტონმა და ბრიუსელმა. ნაცვლად ამისა, ა.წ. 2 თებერვალს ტრამპმა განაცხადა, რომ იწყებს 1987 წლის ხელშეკრულებიდან გასვლის პროცედურას და თუ რუსეთი არ გაანადგურებს ახალ რაკეტებს, 60 დღის შემდეგ დატოვებს ხელშეკრულებას.

ვაშინგტონმა მოსკოვს გამოსასწორებელი ვადა მისცა, რაც მოსკოვისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. პუტინმა თავდაცვის მინისტრ შოიგუს და საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვთან ერთად განაცხადა, რომ ვაშინგტონის გადაწყვეტილებაზე პასუხი იქნება სარკისებური, ანუ რუსეთიც დაამზადებს ახალ საშუალო და მცირე მანძილის რაკეტებს, გარდა ამისა, ისეთ იარაღს, რაც ბარიერივით წინ აღუდგება ევროპაში განლაგებულ ახალ ამერიკულ რაკეტებს.

ამ განცხადების შემდეგ რუსეთიც გავიდა ხელშეკრულებიდან.

რას ნიშნავს ამერიკელთა მიერ ახალი საშუალო და მცირე მანძილის რაკეტების დამზადება-განლაგება რუსეთისთვის?

უპირველეს ყოვლისა, განადგურების საფრთხის გაფართოებას. ევროპის აღმოსავლეთში ამ სახის რაკეტების განლაგება და მათი გამოყენება საფრთხეს შეუქმნის რუსეთის სტრატეგიული ბირთვული იარაღის ბაზირების ზონას. თუ აშშ რუსეთის საზღვრებთან განათავსებს ამ სახის ახალ რაკეტებს, მათი ფრენის დრო სანკტ-პეტერბურგამდე ნაცვლად 20-25 წუთისა – 3 წუთი იქნება, ხოლო მოსკოვამდე – 6 წუთი, რაც რუსეთის მხრიდან სწრაფი რეაგირების საშუალებას გამორიცხავს. 3-6 წუთი ერთობ მცირე დროა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

აშშ-ის სამხედრო დოქტრინის მიხედვით დაწყებულია ნაკლები ძალის ბირთვული ქობინების №76-2 დამზადება, რომლებიც დამაგრდება საშუალო და მცირე რადიუსის ახალ რაკეტებზე. ნაკლები ძალის ბირთვული იარაღით შეიძლება რუსული ტაქტიკური ბირთვული იარაღის შახტების განადგურება.

აშშ-ის მიერ ახალი საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტების აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განლაგება უდავოდ არღვევს ორ ქვეყანას შორის არსებულ ბირთვულ პარიტეტს და აშშ-ს პრიორიტეტულობის შეგრძნებას ანიჭებს, რაც შეტევისთვის დიდი წახალისებაა, თანაც ცდუნების მაგვარი.

როდესაც აშშ დარწმუნდება, რომ მის მიერ რუსეთისკენ გასროლილი რაკეტა 3-6 წუთში გაანადგურებს სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვს, ასევე სამხედრო ობიექტებს, ყოველგვარი საპასუხო დარტყმის გარეშე, ბირთვულ ღილაკზე თითის დაჭერას რაღა უდგას წინ?

რუსი სამხედროები და ექსპერტები, რომლებიც შეშფოთდნენ, მაგრამ არ შეშინდნენ ვაშინგტონის გადაწყვეტილებით, საჯაროდ აცხადებენ, რომ პასუხი მტკიცე და სასტიკი იქნება, ანუ ევროპაში საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტები განლაგებისთანავე განადგურდება. რუსეთს მაგალითად ისრაელი მოჰყავს, რომელიც საომარი მოქმედების დაწყებამდე წინასწარ ესხმის თავს იმ ობიექტებს, სადაც მისთვის საშიში იარაღია განთავსებული.

მიუხედავად საშიში ვითარებისა, აღმოსავლეთ ევროპის ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, პოლონეთი, სხვები, შესაძლოა, უკრაინაც მზადყოფნას გამოთქვამენ საშუალო და მცირე რადიუსის ამერიკული რაკეტების თავიანთ ტერიტორიებზე განლაგებისთვის, რაც უდავოდ ღალატია საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

საქართველოს პოლიტიკა – აყოლილი უკრაინაზე, თანაც აშშ-ის მხრიდან მხარდაჭერილი, ხშირად ისეთ ნაბიჯებს დგამს, რაც ხალხის ინტერესებისგან შორს არის, ამასთანავე, ხარის წინ წითელი ნაჭრის აფრიალების მსგავსია. მაგალითად ფრანგული ანტისარაკეტო სისტემის შესყიდვაც გამოდგება. ეს რაკეტები ვერაფრით დაიცავს ქვეყანას უამრავი რუსული ბირთვული თუ ჩვეულებრივი სარაკეტო თავდასხმისგან. მაგრამ გააღიზიანებს მას და პოტენციურ სამიზნედ აქცევს ქვეყანას, მითუმეტეს მაშინ, როდესაც რუსეთი დასავლური შეტევის განხორციელებამდე აპირებს შეტევის ბუდის განადგურებას.

13-14 თებერვალს ნატოს სამიტზე, ნაცვლად საზრიანი გადაწყვეტილების მიღებისა, კვლავ დაადანაშაულეს რუსეთი საშუალო და მცირე მანძილის რაკეტებთან დაკავშირებით. სამიტმა გადაწყვიტა ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო ხარჯების გაზრდა, რათა პასუხი გაეცეს რუსულ აგრესიას. ითქვა აშშ-ის რაკეტების ევროპაში განლაგების თაობაზეც.

რუსეთია დამნაშავე მაშინაც, როდესაც აშშ-მა და მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა არ შეასრულეს დაპირება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეზღუდვასთან დაკავშირებით და ლამის ნატოს ქვეყნების რკალში მოაქციეს ის?

რუსეთია დამნაშავე ამჟამად, როდესაც აშშ-მა მიატოვა 1987 წლის ხელშეკრულება და აპირებს საშუალო და მცირე მანძილის რაკეტების დამზადება-განლაგებას ევროპის აღმოსავლეთით?

რუსეთია დამნაშავე მაშინაც, როდესაც ეს ქვეყანა თავის დაცვის მიზნით ქმნის ახალ სარაკეტო სისტემას? ...

როდემდე გაგრძელდება იარაღის ჟღარუნი მშვიდობის სახელით?!

რატომ ატყუებთ მსოფლიოს?!

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

რამდენიმე რეგიონში იგეგმება ოლიმპიური აუზების მშენებლობა

ქუთაისსა და ზუგდიდში იგეგმება ოლიმპიური აუზის მშენებლობა, ახალციხეში, ფოთსა და მარნეულში – 25 მ საცურაო აუზისა; მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობაა დაგეგმილი რუსთავსა და ფოთში, სტადიონების რეაბილიტაცია სამტრედიაში, ხაშურსა და კასპში, ახალი სტადიონების მშენებლობა ყვარელსა და მარნეულში – ამის შესახებ განაცხადა მაია ცქიტიშვილმა პარლამენტის სხდომაზე „მინისტრის საათის“ ფარგლებში გამოსვლისას. მინისტრმა ხაზი გაუსვა ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობას ყველა რეგიონში.

2018 წელს დასრულდა ახმეტისა და სტეფანწმინდას მუნიციპალიტეტებში სპორტული კომპლექსისა და თანამედროვე სტადიონის რეაბილიტაცია-მშენებლობის პროექტები. მოეწყო თანამედროვე ტიპის ინფრასტრქუტურა, რითაც ადგილობრივი ახალგაზრდები შეძლებენ სარგებლობას.

ამასთან, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელს 7 მლნ ლარის ღირებულების პროექტები განხორციელდა მუნიციპალიტეტებში მცირე ზომის სპორტული ინფრასტრქუტურის განვითარებისა და რეაბილიტაციისთვის. 2019 წელს იგივე მიზნებისთვის 5.5 მლნ ლარია გამოყოფილი რეგიონული ფონდიდან.

თემო გოცაძე:

დღეს ყველასთვის სანატრელია უბრალოება, სისადავე...

ჩვენი ძვირფასი დროების გამო, აგერ თითქმის სამი ათეული წელიწადია, რაც არ მინახავს თემო გოცაძის ნამუშევართა გამოფენა. არადა, იყო დრო, კვირა ისე არ გავიდოდა, ერთხელ მაინც არ მოგვეყარა თავი მასთან, მის ჭერქვეშ, მის მშვენიერ ოჯახში, მის სახელოსნოში. ნამუშევარი უნდა მეთქვა თუ ნახატი, ნახელავი, ფერწერა, ფერწერილი. ბეკეტი ამბობს: „მხატვარი – ფერია“. ამ ორად ორი სიტყვით ახასიათებს მხატვარსა და ნახატს. ასე და ამგვარად, როგორც გვითხრა კონსტანტინე გამსახურდიამ: „მწერალი – ენაა“.

თემურ გოცაძე.

ეს გვარ-სახელი ერთი პირობა პირზე გვეკერა. თემო ახალგაზრდობიდანვე იყო თავის თაობელთაგან გამორჩეული თავისი ნახელავით, თავისი მიმართებით ხელოვნებასთან, თავისი მსოფლმხედველობით. მე ვიტყოდი, გასაოცარი მსოფლმხედველობით...

აქ უნდა შევხანდე.

გვარს ახლავს თავისი მაგიური ძალა, რაშიც არის ჩამალული მისი ძირი და არსი. გოცაძე, ჩემი გაგებით, გაოცებიდან იღებს დასაბამს, ანუ გოცაძე – გაოცებს. გაოცებენ მისი ნახატები. შემოქმედი მსოფლმხედველობაა. ეს ეხება მწერალს, მხატვარს, მუსიკოსს – ამ სამეულს. მხატვარი, უწინარესად, თვალია. მუსიკა – ყური. მწერალი? მწერალი თვალიც არის, ყურიც და, რაც მთავარია, ენაც. ასეა ერთი შეხედვით. მაგრამ ის როგორ უნდა გამოითქვას, შენ რომ ნახატი დაათვალიერე, გამოფენიდან რომ გამოხვედი, და ნახატს უკვე ვერ ხედავ, მაგრამ მაინც რომ ხედავ, მაინც რომ გახსოვს და ვერ ივიწყებ? ესე იგი შეიძლება ითქვას, რომ ბეკეტისეული განსაზღვრება ვერ ამოწურავს ნახელავის ბუნებას, მის „ჩართულ-გადართულს“, მის უთქმელსა და უხილავს. ნახატს ენა და ჰანგი არ გააჩნია. მაგრამ ფერი თუ მღერის, ნახატი ენასაც იტევს და მუსიკასაც. მაგალითად, ქართველი მხატვრის ნახატი ქართულია, ანუ – ეროვნულია. ქართულია ფიროსმანი, მისი მეეზოვე, მისი დუქანი, მისი ცხვარი, მისი არსენალის მთა, მისი ურემი და მისი მეურმე, მისი მტკვარი, მაინცდამაინც მეტეხთან რომ ჩერდება, მისი მთვარე, მაინცდამაინც რომ მამადავითზე ჩერდება, ქართულია ყანწი, ჩოხა-ახალუხი, წოწორა ქუდი, მაგრამ ამავე დროს არ არის მარტო ქართული, რადგან მისი ნახელავი სხვა ეროვნების ადამიანთათვისაც არის მიმზიდველი და საყვარელი. იმ დონით არა, ალბათ, როგორც ჩვენთვის, მაგრამ ტილოზე გამოყვანილი მეეზოვე მეეზოვეა სხვათათვისაც, ქუჩას სხვაგანაც გვიან, ოღონდაც ჩვენი მეეზოვე სხვა მეეზოვეებისგან განსხვავებულია თავისი ცოცხით, თავისი ცოცხისებრი ულვაშებით, ჩვენი მეეზოვე თითქოს თავად არის ცოცხი, ასეა ჩაწნულ-ჩაკირული თავის სახელსაქმოში, რომ თავის საქმეს დაემგვანა, თავად გახდა თავისი ხელობა, რასაც მთელი თავისი ცხოვრება ემსახურება. ასე ემგვანება და ერთვის შემოქმედი თავის ნახელავს. სამაგალითოდ, სალვადორ დალი თავისებური ექსტრავაგანტურობით თავისივე არაორდინარული ხელოვნების მსგავსია.

ფიქრები მხატვრის სოჭათების გამოფენის ხიდის შუბლზე

დავაკვირდეთ ილიას პორტრეტს, ხელი რომ აქვს ნიკაპზე ამოდებული და ჩვენ გვიყურებს, პირი-სახე რომ უღიმის, და თან თავის ფიქრებშია წასული, რანაირი ჭკვიანი სინათლე აფენია პირი-სახეზე.

ასევე ეტყობა, რომ ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდიას ქანდაკებას პიროვნების ზნე-ხასიათი, წარბი რომ აქვს აზიდული და ძალზე გრძელი ხმალი აქვს შებმული. „ყოვლადძლიერო, გრძელი დანები მოგვეც ჩვენ“. ომი არაა, მშვიდობაა, მაგრამ მას უნდა, რომ გრძელი ხმალი ჰქონდეს და მისცა მოქანდაკემ გრძელი ხმალი.

აქეთ რომ წამოვიწიოთ, რითი გვხიბლავს და გვიზიდავს ჩვენი თანამედროვე მხატვრის შემოქმედება? უპირატესად იმით, რომ გვაოცებს, რაც, როგორც ვთქვით, გვარიდან იღებს დასაბამს. ამ გვარის ნებისმიერი მატარებელი ვერ იქნება ხელოვანი, ცხადია, მაგრამ ამწუთას, ამ ესეის რომ ვწერ, თვალწინ მესახება ცხონებული დასტაქარი, ბატონი დავით გოცაძე, რომლის გასაოცარმა ხელოვნებამ აგერ უკვე მერვე წელიწადია, სიცოცხლე გამიხანგრძლივა. ცხონებული ოთარ მამფორია იტყოდა ხოლმე, სუფრას რომ უძღოდა და მორიგი სადღეგრძელო უნდა დაელია, თავისი ფეხით მოვიდაო და ვადღეგრძელოთო, ასე ამბობდა ვაჟაზე, გალაკტიონზე, მეტწილად წარსულზე, გარდაცვლილ მეგობრებზე, მე კი, ბატონი დავით გოცაძე გასახსენებელი არა მყავს, რადგან იგი არ დამვიწყებია.

რაზეა ლაპარაკი?

...დღე და რიცხვი არ მაგონდება, თუმცა ამის დადგენა იოლია, რადგან მთელმა მსოფლიომ იცის. თემოსთან ვართ, შინ. სუფრას ვუსხედვართ ცხონებული მიშა ჭავჭავაძე, ჟანრი ლოლაშვილი, მერაბ გეგია. კარგა ხანია მას აქეთ გასული. უცებ თემომ გამოაცხადა: ეს წუთია ტელევიზიამ (თუ რადიომ?) გვაცნობა, ადამიანი კოსმოსში გაფრინდა“. გაგარინზეა საუბარი. უნდა გენახათ, როგორ იმოქმედა ამ ცნობამ თემოზე. როგორ უბრწყინავდა თვალები, როგორ უხაროდა, ამის აღწერა მე არ შემიძლია, თითქოსდა იგი თავად გაფრენილიყოს კოსმოსში, პირველად, ყველაზე ადრე. და მე, ახლა, იმ საღამოზე და თემოს აღტაცება-გაოცებაზე რომ ვფიქრობ, თვალწინ მესახება მთელი მისი შემოქმედება, მისი მასშტაბური აზროვნება. მისი უკიდეგანო სიყვარული ცხენებისადმი (რაშებისადმი, მერნებისადმი), რომლებიც კი არ დარბიან ტილოზე, არამედ დაფრინავენ. მუდამ რომ ცისკენ აქვთ ყელი აღერებული. გრანელი გაგონდება, მისი ცნობილი პორტრეტი, მუდამ ცისკენ მაცქერალი. ამ კუთხით, თემო გოცაძის შემოქმედება, მე უფრო ბარათაშვილის „მერანს“ მომაგონებს, ვიდრე გალაკტიონის „ლურჯა ცხენებს“. გალაკტიონის ლურჯა ცხენები უფრო მიწიერნი არიან: „ჩქარი გრგვინვა – გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები“, ხმა ისმის მკაფიოდ. ბარათაშვილის მერანი უგზო-უკვლოდ მიფრინავს, ხმას არ გამოსცემს, არ ჭიხვინებს, თვალშეუდგამ სფეროთა სიჩუმეა ირგვლივ გამეფებული, მსგავსი სიჩუმეა, ალბათ, ოკეანის ფსკერზე, ისეთი სიჩუმე, რომ არ იცი, არსებობს თუ არ არსებობს ეს სამყარო. ზურაბ კიკნაძეს მოაქვს თავის ჩანაწერებში ერთი ასეთი დეტალი, ტილოზე ჩიბუხია გამოსახული, რომელიც ამბობს: „მე არ ვარ ჩიბუხი, მე ნახატი ვარ“. არ არის ჩიბუხი, იმიტომ რომ არ ასრულებს ჩიბუხის მოვალეობას. მაშინ რა საჭიროა თავად ნახატი, თუკი ის თავის მოვალეობას არ ასრულებს? რა საჭიროა ფიროსმანის მეეზოვე, გოცაძის რაში? ამ კითხვას პასუხი რომ გაეცეს, არა თუ ესეი, ტომეულები ვერ აუვა, არ ეყოფა. თუმცა ვამბობთ, რომ ტილოზე გამოყვანილი მზესუმზირები უფრო რეალურია, ვიდრე ნამდვილი მზესუმზირები. ნახატი მზესუმზირა არ ჭკნება, არ ხმება, არ ხუნდება, ფერი არ ეკარგება, ნამდვილი მზესუმზირა კი აღრე თუ მალე, გაქრება. ასეთი უპირატესობა გააჩნია გამონაგონს არსებულთან შედარებით. ა. კამიუს დღიურებში არის ჩანაწერი ფიქრის ეკონომიაზე: „გავწიოთ ფიქრის ეკონომია და მივხედოთ ადამიანს“, ქარის დევნაა მიუწვდომლის მიწვდენა. და კიდევ კარგი, რომ ადამიანს ამრიგ გაუგებრობაში რომ უწევს ყოფა-ცხოვრება. გადავიტანოთ ეს შემოქმედზე. შემოქმედმა თუ ყველაფერი გაიგო, იქვე მორჩება მისი შემოქმედებაც. და ეს რომ ასე არ მოხდეს, ამას განაპირობებს თავად ჩვენი მამა-უფალი. ბოლომდე არ გვიმხელს საიდუმლოს, რათა ვიარსებოთ. აქ შენზე და ჩემზე არაა საუბარი, არამედ კაცობრიობაზე. ჩვენ რომ მუდამ არ ვიქნებით, ვიცით. ანუ ის, რაც უნდა მოხდეს, უკვე მომხდარია, როგორც გვეუბნება ერთი ჩვენი თანამედროვე ფილოსოფოსი. საუბარია შთამომავლობაზე, ჩვენს მომდევნო თაობაზე, იმათ მომდევნო თაობებზე, ანუ მარადიულ ესტაფეტაზე. ჩვენი არსებობა აუცილებელია იმიტომ, რომ იარსებონ მომავალმა თაობებმა. ანუ, რუსთაველმა იცოდა, რომ მას აუცილებლად მოჰყვებოდა გალაკტიონი, გურამიშვილზე, ბარათაშვილზე და ვაჟაზე რომ არ ვილაპარაკოთ. ასევე ზრუნავს ფიროსმანი მემკვიდრე მხატვრებზე. მიმავალი ფიქრობს და ზრუნავს მომავალზე, დროთა კავშირი რომ არ დაირღვეს. ჩვენი თანამედროვე მხატვარი იცნობს წინარე მხატვრებს. აქ იმაზე არაა საუბარი, ჰგავს თუ არა ჰგავს მისი ნახელავი წინარე შემოქმედის ნახელავს. შეიძლება ჰგავს, შეიძლება არა. ეს იცის მხოლოდ მან და მისმა გუნება-განწყობამ, რამაც შეაქმნევინა ესა თუ ის ნახატი, საკვირველი კი ისაა, რომ თავად ჩვენ არ გვინდა სიმართლის დადგენა. სამაგალითოდ, გალაკტიონი გვეუბნება: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“, რაც არაა მართალი. ლექსის სათაურია „მთვარის ნაამბობიდან“. მთვარეს რომ ეყოლებოდა პატარა და დიდი რუსთაველი ნანახი, ცხადია. მაგრამ ჩვენ სათაური უკვე დავივიწყეთ და გალაკტიონის ნათქვამზე გავამახვილეთ გულისყური. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რასაც გვაუწყებს „უკანანი წინა“, დაახლოებით იმას ჰგავს, სამხედრო წყობას რომ უბრძანებენ „ზურგისაკენ!“ და ის ჯარისკაცი, მწკრივის ბოლოში რომ იდგა მწკრივის თავში აღმოჩნდება. ელიოტის ნათქვამი გახსენდება: „ჩემს დასასრულში ჩემი დასაწყისია.“ რუსთაველმა რომ თქვას, „მე ვარ გალაკტიონი“, ან – გალაკტიონმა: „მე ვარ რუსთაველი“. აკი თქვა კიდეც: „ჩვენი დრო ახლა რუსთაველს ელის“. და, რა თქმა უნდა, რომ თავისი თავი იგულისხმა. გალაკტიონს იმიტომ ვახსენებ ხშირად, რადგანაც თემურ გოცაძეს ბევრი რამ აკავშირებს გალაკტიონთან, მის შემოქმედებასთან, მის „ლურჯა ცხენებთან“, რაც შეიძლება ასედაც წავიკითხოთ: „მე ვარ გალაკტიონი“, „მე ვგავარ გალაკტიონს“...

ამაში რომ დავრწმუნდეთ, გამოფენა უნდა დავათვალიეროთ. გამოფენას რომ ვამბობ, ასეთი აზრი მომდის, სურათი-ნახატი გამოფენაზე უფრო მკაფიოდ აღიქმება, ვიდრე მისი რომელიმე მოყვარულის (მფლობელის) ბინაში, ან კიდევ, მხატვრის სახელოსნოში. შენს ოთახში გამოფენილი ნახატი, შეიძლება ითქვას, საშინაოდ არის გამოწყობილი, ვიგულისხმოთ ჩარჩო, გამოსაფენი ადგილი, განათება. საგამოფენო გალერეაში საგარეოდაა გამოწყობილ-გალამაზებული, ანუ, ის იქ არის სტუმარი, რასაც მრავალი წვრილმანი რამ განაპირობებს, საგამოფენო დარბაზი, მისი სიდიდე-მოცულობა, განსაკუთრებული განათება, დაწესებული დრო და საათი, როცა შეიძლება მისი ნახვა-დათვალიერება და როცა არ შეიძლება. ისიც არის საგულისხმო, უფასოა თუ ფასიანი გამოფენის ნახვა-დათვალიერება, და, რაც მთავარია, თავიანთი წვლილი მიუძღვით გამოფენის მხილველებს, – როგორია მათი ცოდნა, განათლება, ინტელექტი, ნახვისა და კითხვის მანერა, ზოგი ნახატი ახლოით აღიქმება უკეთ, ზოგი – შორიდან. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს გამოფენის შესაფასებლად ნახატების ჭეშმარიტი ღირსების დასადგენად, მნახველთა რაოდენობას.

ისე, მე რომ მკითხოს კაცმა, ესა თუ ის გამოფენა, მართლდმარტომ უნდა ნახოს ხელოვნების მოყვარულმა. ხდება ხოლმე, გამოფენის დასანახად მიმავალი ადამიანი არა ხელოვნების ნაწარმოებზე, არამედ უფრო იმაზე ფიქრობს, რათა ნაცნობ-უცნობებს დაანახოს თავისი თავი, რაც განსაკუთრებით ვლინდება გამოფენის პირველსავე დღეს, გამოფენის გახსნისას, როცა დამთვალიერებლების მეტი რაოდენობა იყრის თავს. მაგრამ თავად გამოფენა არაფერს არ ჰკარგავს, იგი მუდამ ისეთია, როგორიც არის, და ახლა თუ ვერ ნახე, როცა მოგინდება, მაშინ მოინახულებ. ნახატში დრო გაჩერებულია.

სხვა ამბავია, რას გამოვიტანთ ჩვენ ამა თუ იმ გამოფენიდან, რას გავუგებთ ამა თუ იმ ნახატს? ან ესეც ვიკითხოთ, ფერწერა უფრო გვიტაცებს, მუსიკა თუ პოეზია? ჩინეთში, სხვათა შორის, სამივე დარგს ასწავლიან. მაგრამ შეიძლება თუ არა კაცმა შეისწავლოს ლექსის წერა? ჩვენი თანამედროვე პოეტი თამარ ჯავახიშვილი წერს: „ლექსები კი არ იწერება, არამედ ხდება“. მიხა ხელაშვილი ამბობს, ამოგთქომო, გურამიშვილი გვეუბნება, რაც მინდოდა (მეწადა) ვერ დავწერეო.

იხ. 9 გვ.

„ცხოვრებაში ყოველივეს ვერ იხილავ, ზოგიერთი შენ გიხილავს“

ასე ამბობდა ელისაბედ ტეილორი

ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**



ელისაბედი და რიჩარდ ბარტონი

ელისაბედი და რიჩარდ ბარტონი, 1964, 1975 წლები

რიჩარდი ელისაბედის სიყვარულით ვერ ძღებოდა და მუდმივად იმეორებდა: „მე მსოფლიოში პირველ მზეთუნახავზე ვარ ჯვარდაწერილიო“.

ბარტონმა თავს საყვარელ ელისაბედს კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მიართვა. ამ საჩუქარში შედიოდა ლეგენდარული მარგალიტი „La Peregrina“, რომელიც ადრე ინგლისელ პრინცესას მარიამ ტიუდოს ეკუთვნოდა, ყვითელი ბრილიანტისთვლიანი ყელსაბამი „ტაჯ მაჰალი“, 33-კარატიანი კრუპის ბრილიანტი და 70-კარატიანი 305 ათასი დოლარის ღირებულების სახელობითი ბრილიანტი „ტეილორ-ბარტონი“. ამჟამად ეს ძვირფასეულობა ლეგენდარული მსახიობის სამკაულთა კოლექციის საფუძველს წარმოადგენს.

ქორწინების მთელი დროის განმავლობაში მსახიობებმა ერთად ითამაშეს 11 ფილმში, იმათი ვნება ხანჟამისად გრანდიოზულ სკანდალებად იქცეოდა ხოლმე.

ბარტონი მუდმივად მცირე რამ საბაბის დროსაც კი ეჭვიანობდა. „თქვენ წარმოდგენაც კი არ შეგიძლიათ, რა რაოდენობის ქალები არიან მზად, რომ პირველად შეხვედრილ კაცს ჩაუგორდნენ ლოგინში, – ამბობდა ბარტონი. – ამიტომ ლამის ჭკუიდან შევიშალო, როცა ამასვე ამბობენ ჩემს ცოლზე. ვაითუ ეს მართალი გამოდგეს?!“ რიჩარდი ცოლის ღალატს ეჭვის თვალით რომ უცქეროდა, დარწმუნებული იყო, თვითონაც შეეძლო ცოლის ღალატი. უფრო მეტიც, სასმელში იხრჩობდა თავს. „კლეოპატრა“ ქმრის მაგალითი-სამებრ, არც თვითონ იკლებდა ალკოჰოლს. თავიდან იმათი ჩხუბი ცეცხლს უმატებდა ურთიერთობებს, მაგრამ მერე და მერე აყალმაყალი სულ უფრო უხეში ხდებოდა და ბარტონის მხრივ ცემა-ტყეპაში გადადიოდა.

ყოველი ჩხუბის შემდეგ რიჩარდი ბოდიშს იხდიდა და მორიგ ძვირფასეულობას სძღვნიდა მეუღლეს. თუმცა, ურთიერთწყენა თანდათან თავს იყრიდა. ქმრის ღალატი უფრო გულსა სტკენდა ელისაბედს, ვიდრე იმის მხრივ ცემა-ტყეპა, ისე, ჩხუბში არც თვითონ აკლებდა ხურდის დაბრუნებას. რაც შეეხება ღალატს, სანამ ელისაბედს მართლა გულით უყვარდა მამაკაცი, იმისი ღალატი სხვასთან ნამდვილად არ შეეძლო. მაგრამ, რომელიღაც მომენტში მოთმინების ფიალა აევსო და ელისაბედმა განქორწინებაზე ჩამოუგდო სიტყვა იმ იმედით, რომ რიჩარდი შეშინდებოდა, თუმცა, მან ცოლის წინადადება თითქმის სიხარულით მიიღო. მეგობრებსა და ნაცნობებს არ ეგონათ, რომ ოჯახური უთანხმოება გაყრამდე მივიდოდა, მაგრამ ათწლიანი ერთად ცხოვრების მიუხედავად, ტეილორი და ბარტონი 1974 წლის 26 ივნისს განქორწინდნენ. ელისაბედ ტეილორი ვერა და ვერ შეურიგდა ქმრის ღალატსა და ლოთობებრუვეობას.

– ოდესღაც ელისაბედმა თქვა, პრობლემა ის არის, რომ ჩვენ ერთმანეთი ძალიან გვიყვარდაო. ახლა მესმის, რა მართალი იყო იგი, – ამბობდა რიჩარდ ბარტონი, – ელისაბედი მუდმივად მეკითხებოდა, ხომ არ გადამიყვარებ, როცა დავბერდები და დაუძლურებულის ეტლში მიხილავო. მე კი ვეუბნებოდი, სულ ხელით გატარებ მაშინაც კი, როცა გამელოტდები და კბილები გაგიყვითლდება-მეთქი. რა ვქნა, სიგიჟემდე მიყვარდა ეს ქალი! ის კი არა, ათასი წელიწადიც რომ გავიდეს, ის სამუდამოდ დარჩება ჩემს დაუჭკნობელ გულის ვარდად“.

უკეთუ ადრე ელისაბედ ტეილორი ქმრებს ახალი სიყვარულის გამო შორდებოდა, ამჯერად ის განაგრძობდა ბარტონის სიყვარულს, მაგრამ ცხოვრებით აღარ შეეძლო იმასთან ცხოვრება. ბარტონმა პრესკონფერენცია მოაწყო, მაგიდაზე წინ არყით სავსე სირჩა ედგა. „ყველაფერი აქეთკენ მოდიოდა, – ამბობდა რიჩარდი. – საკვირველია, იცით, როცა ორი ფიცხი ადამიანი ერთმანეთს უბრაზდება, ყოველგვარი რამ შეიძლება რომ მოხდეს. მეტიც, ქალები უცნაური ქმნილებანი არიან. ვის შეუძლია იმის თქმა, თუ რა ხდება იმათ თავში?“

განქორწინების მიუხედავად, გვერდიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, ტეილორის და ბარტონის აბობოქრებულ რომანში წერტილი ჯერ კიდევ დასმული არ იყო. ყოფილი ცოლ-ქმარი ერთად არ ცხოვრობდა, მაგრამ ერთმანეთს მუდმივად ურეკავდნენ. ელისაბედი დიეტაზე დაჯდა და მალე გატანკენარდა. ყოფილი ქმარი არწმუნებდა ტეილორს, რომ „საქმე წინ მიდიოდა“ და ცოტა ხანში მიიწვია კიდეც ელისაბედი, – მოდი, შენ თვითონ დარწმუნდი, ყოველმხრივ წესრიგში ვარო.

ბარტონი დაინახა თუ არა ელისაბედმა, კისერზე ჩამოეკიდა. ორივენი ატირდნენ. ვახშამზე ბარტონმა ყოფილი ცოლის საღღეგრძელო ფორთოხლის წვენით დალია.

ამ ვახშმის შემდეგ უჩვეულოდ გახშირდა მიმოწერა. ელისაბედი თითქმის ყოველ წერილში სწერდა, გინდა თუ არა, ჯვარი დავიწეროთო.

„მე შიშმა და ეჭვმა შემიპყრო. ქორწინება ჩვენს სიყვარულს ხომ არ დაღუპავდა. ან მეტისმეტად ხომ არ დაგვარწმუნებდა ჩვენს ურთიერთსიყვარულში. ხელახლა ხომ არ გაგვიღვივებდა ამ უმშვენიერეს შეგნებას .... მიყვარხარ, რიჩარდ, პასუხი შენთვის მომინდვია. ველოდები“.

„მგონი, პირუტყვნიც კი გვიღიმიან, – იგონებდა ელისაბედი, – ყოველივე გახარებული იყო, რომ მე და რიჩარდი ერთად ვიყავით“.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ყოფილმა ცოლ-ქარმა რადგან ისევ ერთად ცხოვრება გადაწყვიტა, კაციშვილი არ იყო, ვისაც ეს ამბავი არ გაჰკვირვებია. „ჩვენ ისე ჩავიფალით ერთმანეთში, როგორც წიწილის ბუმბული კუპრში“. – ეუბნებოდა ელისაბედი ბარტონს, მეგობრებსა და ჟურნალისტებს. „უშენოდ თითქოს აჩრდილი ვიყავი“, – უპასუხებდა ის საყვარელ ქალს.

ელისაბედს უნდოდა, რომ რიჩარდს აუცილებლად შეერთო ცოლად. ბარტონი დაეთანხმა, მაგრამ ამასთანავე, აუცილებლად არ მიაჩნდა, რომ ქორწილი გადაეხადათ და ოფიციალურად ხელი მოეწერათ. „რასაც შენ მთხოვ, ეგ ოფიციალური ქაღალდია. როცა გინდა, მაშინ დავხევთ. სულიდან მომდინარე ფიცის დახევა კი შეუძლებელია. რა მდგომარეობაც არ უნდა შეიქმნას, იცოდე, რომ მაინც მეყვარები“.

ახალი ქორწილის გადახდა აფრიკაში გადაწყვიტეს 1975 წლის ნოემბერში. შერიგების ნიშნად რიჩარდმა ცოლს 69,42 კარატის ბრილიანტი მიართვა.

სამწუხაროდ, ეჭვიანობა და აყალმაყალი ახალი ძალით შეიჭრა იმათ ცხოვრებაში, მეორე ქორწინებაში წინა ქორწინების ამბები უკლებლივ მთელი სიზუსტით განმეორდა. რიჩარდმა განაგრძო სმა და ელისაბედის ღალატი. ოღონდ ამჯერად ბევრად უფრო მალე დაიღალნენ ერთმანეთისგან. მალევე მიხვდნენ იმასაც, რომ გატეხილი უზარმაზარი ბროლის სასმისის შეკოწიწება შეუძლებელი იყო. ისინი ოფიციალურად ცოლქმრობას კი განაგრძობდნენ, მაგრამ სინამდვილეში არავითარი ურთიერთობა აღარ ჰქონდათ. მეორე განქორწინებამ წყნარად და საზოგადოების ყურადღების მიუქცევლად ჩაიარა. ტეილორისა და ბარტონის პირველმა ქორწინებამ 10 წელიწადი გასტანა – 1964 წლიდან 1974 წლამდე, მეორემ სრული ერთი წელიწადი – 1975 წლიდან 1976 წლის აგვისტომდე.

1976 წლის 1 აგვისტოს ელისაბედი და ბარტონი ოფიციალურად განქორწინდნენ მეორედ. ელისაბედმა ახლა ნამდვილად იგრძნო შვება.

ელისაბედი და ჯონ უორნერი, 1976 წელი

რიჩარდთან განქორწინების შემდეგ ზუსტად ოთხი თვე გავიდა და 1976 წლის 4 დეკემბერს ელისაბედ ტეილორმა კვლავ დაიწერა ჯვარი ამერიკის შეერთებული შტატების ვირჯინიის შტატის სენატორ ჯონ უორნერთან.

სენატორ უორნერს ელისაბედი ინგლისის საელჩოში გაეცნო დიდი ბრიტანეთის დედოფლის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების ორასი წლისთავის პატივსაცემად გამართულ სადილზე. ელისაბედმა სადილზე მისვლა თავის პარიკმახერთან ერთად გადაწყვიტა, თუმცა, ელჩი დაჰპირდა, კიდევ უფრო საყურადღებო თანმხლებ პირს მოგიძიებო. ის თანმხლები პირი 49 წლის ჯონ უორნერი გამოდგა, რომელიც ფრიად მიღებული იყო პოლიტიკაში. ჯონი უზადოდ აღზრდილი გახლდათ და ელისაბედი მალევე მოიხიბლა იმისი მანერებით და თავის მიმართ უცხო მამაკაცის აღფრთოვანებული დამოკიდებულებით.

ეს ქორწილი ყველაზე საიდუმლოდ ჩატარდა იმ ქორწილებს შორის, რომელიც კი ელისაბედს გადაეხადა. ცოლ-ქმარმა ბეჭდების გაცვლა მეგობართა ვიწრო წრეში გადაწყვიტა უორნერის ფერმაში, ამ ცერემონიის ფოტოსურათები და სხვა რამ დამადასტურებელი დღესაქამომდე არავის არ უნახავს.

ჯონმა ელისაბედს ცისფრად შეღებილი სასილოსე კოშკი უსაჩუქრა. მოგვიანებით კოშკს უზარმაზარი გული მიახატეს წარწერით: „ჯონს უყვარს ელისაბედი“.

ელისაბედი ძალიან ცდილობდა, რომ სენატორის წესიერი ცოლი ყოფილიყო, მუდმივად ესწრებოდა მოსაწყენ დიპლომატიურ მიღებებს, ისმენდა გრძელ პოლიტიკურ სიტყვებს. ელისაბედი დადიოდა მეუღლის გამოსვლებზე, კითხულობდა იმ გამოსვლების შავ პირს, სთავაზობდა საგულისყურო აზრებს, მაგრამ ნამდვილ სიამოვნებას ის მხოლოდ ქველმოქმედებისგან იღებდა. ყველაფერი დანარჩენი, აშკარად გულს უწვრილებდა. თუმცა, ელისაბედი მთელი ძალით ცდილობდა, ეს ჯონის არ შეემჩნია, რადგან ამჯერად ის უკვე ჯონის გვერდით აპირებდა დაბერებას და გულში ფიქრობდა, ეს ჩემი ბოლო ქორწინებაა.

სენატორი უორნერი თავისი მეუღლის შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელი არ ყოფილა. როგორც თავად აღიარებდა, როცა ერთმანეთს შევხვდით, ელისაბედის მონაწილეობით მარტო რამდენიმე ფილმი მქონდა ნანახი.

„ელისაბედს უცებ მოეპრიანებოდა, რომ აუცილებლად გვენახა იმისი მონაწილეობით რომელიმე ძველი ფილმი, – ხუმრობდა ჯონი. – მე ძლივს ვიდექი ფეხზე ილაჯგაწყვეტილი, თანაც მეორე დილით 6 საათსა და 15 წუთზე უნდა ავმდგარიყავი, მაგრამ ელისაბედს ჩემი მოსმენის სურვილიც არა ჰქონდა, უნდა ვნახოთ, მორჩა და გათავდა! იმისი სიტყვა ბეჭედი იყო და რა უნდა მექნა, ნელ-ნელა ყველა თავისი ძველი ფილმის მაყურებელი გამხადა“.

მოგვიანებით ჯონმა აღიარა, მთელი ჩემი ცხოვრება ვოცნებობდი კინოში რომელიმე პატარა როლი მეთამაშაო. „ამით ვაბრაზებდი ცოლს, რამეთუ ამ გაბრაზებაში ირეკლება მეტოქეობის ის სულისკვეთება, ჩვენს ურთიერთობას მუდმივად თან რომ ახლავს... მაგალითად, სულ რომ არაფერი, დამიბრიყვებს, მე კი ლაქია იძულებული გავხდები, რომ ფეხქვეშ გავეგო, თუნდაც ეს სხვა სიუჟეტი იყვეს – მე თავზე ხელაღებულ კოვბოის ვითამაშებდი, ხოლო ის სამიკიტნოელ ლამაზისეულს. ჩვენ შორის კი ქაფქაფა ვნებები იდუღებდა!“

თავის მხრივ, ელისაბედი ისევ და ისევ სულ თან ახლდა ჯონს ყოველ მგზავრობაში. ბოლო წლებში კარგა გვარიანად მოკვიტინდა, მოსუქდა და ბევრი თაყვანისმცემელი ძლივსღა ცნობდა. „მთელი თავიანთი ცხოვრება ქალები ოცნებობდნენ, ელისაბედს ჰგვანებოდნენ, ახლა კი, მადლობა ღმერთს, ოცნება აგვიხდაო“, – წაუენაგესლიანა ერთმა ჟურნალისტმა. ჯონი შეძლებისამებრ მხარში ედგა ცოლს.

ელისაბედი დადიოდა ამერიკული ლეგიონის დარბაზებში, საეკლესიო სარდაფებში, დილაობით ესწრებოდა აგრეთვე პურობებს სოფლის კლუბებში.

„როგორც ხედავთ, ცოტას ვხიხინებ, – ეუბნებოდა ელისაბედი შეკრებილთ, – მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ ჩემი თავგადასავალი იცით. მაშინ შიმშილისგან ლამის წერილი წავიღე. ავდექი და ქათამს ხორცის ნაჭერი მოვაგლიჯე, მაგრამ ერთმა ძვალმა არასდიდებით არ ისურვა ჩემი ყელის დათმობა“.

როცა ადამიანები თავიანთ თანაგრძნობას გამოხატავდნენ, ელისაბედი ეგრევე დასძენდა: „როგორც თავად მგონია, ბუნებით მებრძოლი ვარ, რომელიც რაგინდარა შეტაკებიდან ცოცხალი გამოვდივარ, სხვაგვარად დღეს აქ თქვენთან არ ვიქნებოდი“.

(გაგრძელება იქნება)

ჯონ უორნერთან ერთად

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №31-32, 35, 36

2008 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲐᲠ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ!

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲑᲔᲑᲘ

ᲡᲔᲛᲘᲝᲜ ᲛᲝᲒᲘᲚᲔᲕᲘᲩᲘ - FBI-ᲘᲡ ᲡᲐᲘᲢᲘ.

— 2000 წლის მარტში, პუტინის არჩევის წინ, გამოვიდა მარინა სალიეს წიგნი: „პუტინი — კორუმპირებული ოლიგარქიის პრეზიდენტი“. მარინა სალიე, ლენსოვეტის ყოფილი დეპუტატი, რომელმაც გამოიძია პუტინის საქმიანობა სობჩაკთან მერიაში, გამოდიოდა მოწოდებით არ დაეშვათ ის ხელისუფლებაში...

— ის მართალი იყო, მაგრამ გამოიძია 90-იანებში პუტინის საქმიანობის მხოლოდ ერთი ეპიზოდი — თაღლითობა „ნედლეულის გადაცვლა სურსათზე“. მისთვის არ იყო ცნობილი ის, რაც ჩვენ ვიცით დღეს: საზღვაო პორტის პრივატიზაციის დეტალები, სადაც პუტინი ბანდიტებთან იყო წილში; ქალაქის ბენზინგასამართი სადგურებისა და ნავთობბაზების პრივატიზაცია, რომლებიც პუტინმა ტამბოვის ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებას გადასცა.არ იცოდა მან არც პორტის გავლით კოკაინის ტრანზიტზე, რაზეც სასამართლოზე იყო ლაპარაკი ლიტვინენკოს საქმესთან დაკავშირებით. არ იცოდა ფირმა SPAG-ის საქმე — რუსულ-გერმანული კომპანიისა, რომელიც კარტელ „კალის“ ფულის გათეთრებას ეწეოდა პეტერბურგში. ამასთან, SPAG-იც პუტინმა შექმნა ვლადიმირ სმირნოვთან, კოოპერატივ „ოზეროს“ პირველ თავმჯდომარესთან ერთად. მარინა სალიემ არ იცოდა არც „მე-20 ტრესტის საქმე“ — 1999 წლის სისხლის სამართლის საქმე საბიუჯეტო თანხების მრავალწლიანი დატაცებების შესახებ სობჩაკის მერიაში, სადაც პუტინი იყო ფიგურანტი.

სალიემ გამოიძია მხოლოდ ნედლეულთან დაკავშირებული ერთი პირველი თაღლითობა 1992 წლიდან. კაცმა რომ თქვას, მარინა სალიედან დაიწყო პუტინოლოგია — მკვლევართა მუშაობა ბატონი პუტინის რეალური (არა გამონაგონი პროპაგანდის) ბიოგრაფიის დასაწერად.

— ამა წლის თებერვალში 27 წელი უსრულდება მარინა სალიეს ამ მოხსენებას თაღლითობის შესახებ სახელწოდებით „ნედლეულის გადაცვლა სურსათზე“.

— პირველ რიგში უნდა ვთქვა, რომ მარინა სალიეს წყალობით ზუსტად ვიცით, რით იყო დაკავებული პუტინი იმ მომენტში, როცა დაიშალა სსრკ, რომელსაც იგი ახლა ასე მისტირის: „მე-20 საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფაო“ და ა.შ.

პუტინი ქუჩაში ჩამოყალიბდა პიროვნებად.

სსრკ-ის აგონიის მომენტში (1991 წლის დეკემბრის ბოლო პლუს 1992 წლის პირველი საახალწლო დღეები) პუტინი და მისი ამფსონები სობჩაკის მერიის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტიდან ნაჩქარევად გასცემდნენ ლიცენზიებს სახელმწიფო მარაგიდან ნედლეულის ექსპორტზე. ლიცენზიები გაიცემოდა ყველა ყალბ ფირმაზე იმ საბაბით, რომ საჭიროა უცხოეთში ნედლეულის გაყიდვა და სურსათის ყიდვა მოშიმშილე ქალაქისთვის — 1991 წლის ბოლოს პიტერში პურზე ისეთი რიგები იყო, როგორც ბლოკადის დროს. ლიცენზიები გასცეს, ნედლეული გაზიდეს, ფული კი, როგორც ცნობილია, მოიპარეს, რის გამოც გაჩნდა ეს სახელწოდება: თაღლითობა „ნედლეულის გადაცვლა სურსათზე“.

— თქვენს ერთ-ერთ სტატიაში პუტინის მოქმედებებს მაროდიორობა უწოდეთ.

— აბა, რა ჰქვიათ ადამიანებს, რომლებიც უხელისუფლებობის ან ომის დროს ძარცვავენ საწყობებს, მაღაზიებს საკუთარი ხალხისა, რომელიც სურსათისთვის რიგებში დგას? მაროდიორები. აი, პუტინი იყო მაროდიორი სსრკ-ის დაშლის მომენტში. საწყობებს ძარცვავდა.

— მერე როგორ განვითარდა მოვლენები?

— უკვე 1992 წლის 10 იანვარს პეტროსოვეტის დეპუტატებმა განგაში ატეხეს, შექმნეს მარინა სალიეს კომისია ვლადიმირ ვლადიმირის ძის მჩქეფარე მოღვაწეობის გამოსაძიებლად. 1992 წლის 23 თებერვალს კომისიამ წარმოადგინა თავისი ანგარიში („სალიეს ანგარიში“), რომელშიც მოითხოვა პუტინის თანამდებობიდან გადაყენება ქურდობისთვის და საქმის პროკურატურაში გადაცემა. სალიეს ანგარიში პრესასაც გადაეცა, მარტში მასზე დაწერა „ნოვაია გაზეტამ“ და კიდევ რიგმა გამოცემებმა. დიდი სკანდალი წარმოიშვა. მაგრამ სობჩაკმა გამოიყენა თავისი ყველა კავშირი კრემლში, ელცინთან, რათა საქმე შეეჩერებინათ. გარდა ამისა, სალიეს ანგარიშში ამოტივტივდა პუტინის მიმოწერა მოსკოვთან — გაიდართან, ავენთან (იმ დროს საგარეო ვაჭრობის მინისტრი, ამჟამად ალფა-ბანკის თანამფლობელი). ამ მიმოწერიდან ჩანს, რომ პუტინის მოქმედებები მთლიანობაში სანქცირებული იყო მოსკოვის მიერ, ისინი ლიცენზიების თაობაზე საქმის კურსში იყვნენ. და თუ გავითვალისწინებთ, რომ საბოლოოდ 100 მილიონ დოლარზე მეტი მოიპარეს, ეჭვი შეიძლებოდა მიეტანათ ავენსა და გაიდარზეც. მოკლედ, სობჩაკმა და მოსკოვმა ამჯობინეს, საქმე ჩაეფარცხათ.

— დარჩა თუ არა თეთრი ლაქები თაღლითობის „ნედლეულის გადაცვლა სურსათზე“, გამოძიებაში?

— იქ დღემდე ბევრი რამეა ბუნდოვანი. მაგალითად, გაქრა 150 ათასი ტონა ნავთობპროდუქტები. პუტინმა მათი გატანის ლიცენზია გასცა ფირმა „ნევსკი დომს“, რომელიც შემდეგ გაუჩინარდა. დოკუმენტების მიხედვით, ნავთობპროდუქტები კიშირის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნიდან ინგლისში წავიდა. ჯამში 30 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულებისა.

მოდით, დეტალებს შევხედოთ. კიშირის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნიდან ექსპორტს 1992 წელს და მთელი 90-იანების განმავლობაში აკონტროლებდა ძალიან ვიწრო წრე **ტიმჩენკოს** მეთაურობით. მათ გარეშე იქიდან ვერაფერი გავიდოდა.

შემდეგ — ფირმა „ნევსკი დომი“. მათი მფლობელები ვერ იპოვეს. იყო ეჭვი, რომ ესაა **სმირნოვი** „ოზეროდან“, ტამბოვის ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების ფინანსისტი, მაგრამ ეს ვერსია არ დადასტურდა.

სამაგიეროდ, ადამიანი, რომელიც „ნევსკი დომის“ სახელით აწერდა ხელს დოკუმენტებს და იქ დირექტორის მოადგილედ ითვლებოდა, გახლავთ სრულიად რეალური პერსონაჟი, ვიწრო წრეებში ცნობილი **ვიტენბერგი ვლადიმირ მიხაილის ძე.** საბჭოთა პერიოდში სისხლისსამართლებრივი სამძებროს ოფიცერი, რომელიც შემდეგ გადავიდა რუსლან კოლიაკის ბრიგადაში. კოლიაკი — ესაა ტამბოვის ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება, ანუ ნავთობპროდუქტები გაჰქონდათ პუტინს, ტიმჩენკოსა და საძმოს.

— და იმ ფირმის ამბავი როგორ იყო, რომელზეც პუტინი აფორმებდა ნავთობპროდუქტების ექსპორტის ლიცენზიას? თავიდან ხომ „ნევსკი დომის“ ნაცვლად ლიცენზიის გაცემა სხვა ფირმაზე იყო დაგეგმილი, მოსკოვურზე?

— თავიდან მართლაც იგეგმებოდა, რომ 150 ათას ტონა ნავთობპროდუქტებს უცხოეთში მოსკოველები გაიტანდნენ. მაგრამ მერე ყველაფერი შეცვალეს პიესის მსვლელობისას და პუტინმა ლიცენზია პიტერის კანტორას მისცა.

— ვინ იყვნენ ის „მოსკოველები“, რომლებზეც თქვენ საუბრობთ?

— სოლნცევოდან. **გრიგორი მიროშკინი,** ავტორიტეტ **მოგილევიჩის (მეტსახელად სევა)** ამფსონი. მას ეწოდებოდა „ინტერკომცენტრ ფორმულა-7“. მაგრამ მერე გაურკვეველი მიზეზების გამო ყველაფერი „ნევსკი დომს“ გადასცეს.

— ვინ არის საერთოდ სემიონ მოგილევიჩი? გამოძიების ფედერალური ბიურო მას რუსეთის მაფიის „ბოსების ბოსს“ უწოდებდა. როგორ გაჩნდა მისი ხალხი თაღლითობაში — „ნედლეულის გადაცვლა სურსათზე“? მოგილევიჩი რამენაირად არის პუტინთან დაკავშირებული?

— სოლნცევოს ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებაზე საუბრისას ზოგს წარმოუდგენია, რომ ეს არის უბრალოდ დაკუნთული ტიპების ბანდა მოსკოვის ოლქის ქალაქის გარეუბნიდან, რომლებიც მოსკოვში ბეგარას კრებდნენ კომერსანტებისგან და დედაქალაქს შიშის ზარს სცემდნენ ველურ 90-იანებში. სოლნცევოელების გზით ჩეკისტები და გენერლები იარაღს ყიდდნენ მთელ მსოფლიოში. მაგრამ ზოგიერთმა იცის, რომ მთელი 90-იანების განმავლობაში სოლნცევოელებს ორი ტერიტორიული ბაზა ჰქონდათ — მოსკოვი და ბუდაპეშტი. უნგრეთში 1990 წელს მუშაობდა სოლნცევოს ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების „საერთაშორისო ფილიალი“ ავტორიტეტ მოგილევიჩის ხელმძღვანელობით. და ამ საერთაშორისო ფილიალს მფარველობდნენ კაგებეს პირველი მთავარი სამმართველო და შემდეგ საგარეო დაზვერვის სამსახური.

ᲓᲛᲘᲢᲠᲘ ᲕᲝᲚᲩᲔᲙᲘ.

(დასასრული იქნება)

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №36

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲚᲒᲑᲗ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია იწყებს გლობალურ კამპანიას, რათა ბოლო მოეღოს ლგბტ თემის კრიმინალიზაციას ათობით ქვეყანაში, სადაც არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია უკანონოდ არის მიჩნეული.

კამპანიას სათავეში უდგას გერმანიაში აშშ-ის ელჩი რიჩარდ გრენელი, რომელიც ტრამპის ადმინისტრციაში ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირია, რომელიც თავის სექსუალურ ორიენტაციაზე ღიად საუბრობს. „შეშფოთებას იწვევს ის, რომ 21-ე საუკუნეში 70-მდე ქვეყანაში კიდევ არსებობს კანონები, რომლებიც ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლების სტატუსს ან მათ ქმედებებს კრიმინალთან აიგივებს“, — განაცხადა გრენელმა.

დეკრიმინალიზაციის სტრატეგია ჯერ განხილვის პროცესშია, თუმცა ელჩის თქმით, ამ საკითხში ჩაერთვება გაერო, ევროკავშირი, ეუთო და ის ქვეყნები, სადაც ლგბტ პირების უფლებები გადაიხედება. კამპანიაში ასევე ჩართული არიან აშშ-ის სხვა საელჩოები ევროპის ქვეყნებში. არსებული ინფორმაციით, კამპანია ირანში განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ახალგაზრდა მამაკაცის სიკვდილით დასჯის შემდეგ დაიწყო.

ᲣᲩᲘᲕᲘᲐᲜ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების 16 შტატი, კალიფორნიის შტატის ხელმძღვანელობით, სასამართლოში ასაჩივრებს პრეზიდენტ ტრამპის აქტს მექსიკის საზღვრის გასწვრივ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზე. სარჩელი კალიფორნიის ჩრდილოეთ ოლქის ფედერალურ სასამართლოს უკვე წარედგინა. კალიფორნიის შტატის გენერალური პროკურორი ქსავიერ ბასერას თქმით, ისინი ტრამპს „ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში“ ადანაშაულებენ.

„ჩვენ ვაპროტესტებთ პრეზიდენტ ტრამპის გადაწყვეტილებას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადების გადამხდელის ფულის არამიზნობრივად გამოყენებას, კონგრესის გვერდის ავლით. პრეზიდენტის პოსტი არ არის თეატრი“, — განაცხადა ქსავიერ ბასერამ. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მექსიკის საზღვრის გასწვრივ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

ᲯᲐᲠᲘᲛᲐ ᲛᲧᲠᲐᲚᲘ „ᲜᲐᲡᲙᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝ

ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ მიერ ჰიგიენის წესების უგულებელყოფა შესაძლოა, სარკინიგზო ტრანსპორტში კონფლიქტების მიზეზი გახდეს. ამის შესახებ მედიასთან რუსეთის დუმის ტრანსპორტისა და მშენებლობის კომიტეტის წევრმა ალექსანდრ ვასილიევმა ისაუბრა. მისი თქმით, „მგზავრების ჭუჭყიანი წინდები“ აწუხებს ყველას, ვინც ე.წ პლაცკარტით მგზავრობს და დისკომფორტს იწვევს:

„სხვა ქვეყნებში ჯარიმა არის დაწესებული, ჩვენთან კი ეს ვერ მოვახერხეთ, მაგალითად, ის, რომ ადამიანს დაავალდებულო, არ მოწიოს გასასვლელში, არ იყოს არაფხიზელ მდგომარეობაში და სხვები არ შეაწუხოს თავისი არაჰიგიენურობით,“ — განაცხადა დეპუტატმა. მისი თქმით, რუსეთის ტრანსპორტის ზედამხედველობის სამსახურს უფლება უნდა მიეცეს, შესაბამისი შემოწმებები ჩაატაროს.

დღეს ყველასთვის სანატრელია უბრალოება, სისადავე...

(მეექვსე გვერდიდან) ვაჟამ პოეტად ვიხსენებიო, თუმცა მე ვის დავკარგივარო. ნაკლებად ნიჭიერმა რა უნდა თქვას? ხომ ამბობენ ფიროსმანზე, ხატვა არ იცოდაო, არ უსწავლიაო. პუშკინზე ითქვა, ისე უბრალოდ წერს, თითქოს წერა არ იცისო. ბავშვური გულუბრყვილობით არის სავსე ფიროსმანის ნახატები. ბავშვი მუდამ მართალია. „ბავშვები შემოუშვითო“, მაცხოვარმა, ამ გამონათქვამის მიხედვით ჰიუგომ ერთ-ერთი თავისი შედევრი შექმნა. ბავშვი უმწიკვლოა, უბიწო, ბავშვი დილაა. ბავშვმა არ იცის შური, ბავშვმა უამრავი რამ არ იცის, რაც მეტი არ იცის, იმდენად უფროა ბავშვი. განა საკითხავია და საორჭოფო, რომ ჩვენეული არცოდნა ჭარბობს ჩვენეულ ცოდნას. რაც უფრო შორს ვფიქრობთ, ეს ადრე უნდა მეთქვა, როცა კამიუს გამონათქვამი დავიმოწმე, მით უფრო ვპატარავდებით და მით უფრო ვუახლოვდებით ბავშვს, რომელმაც უამრავი რამ არ იცის.

ახლა მხატვარს გავესაუბრები...

გალერეაში, თემო გოცაძის ნახატები რომ არის გამოფენილი, ამაღამ, მე რომ ამ ესეის ვწერ, უზარმაზარი სიჩუმეა. ნახატებიც სდუმან. გაკვირვებულნი, გაოცებულნი. გვიანია. ახლა თითქმის მთელ საქართველოს სძინავს. ნახატებს თუ სჭირდებათ ძილი და მოსვენება, ძილი, ნანები, ძილი, მაგრამ...

რა ძალაა ის, მხატვარს ხელში რომ ფუნჯს აჭერინებს და აძალებს, ტილოზე რაღაც გამოსახოს? ლექსზე ითქვა, არ იწერება, არამედ ხდება. ნახატზე რა უნდა ითქვას? ერთი ჩინელი მხატვარი ცი ბაიში გვეუბნება: „დავბერდი, მთელი ცხოვრება ამ კიბორჩხალებს შევალიე, მაგრამ მაინც ვერაფერი გავუგე“. რამაც ასეთი სტრიქონები მიკარნახა:

„ცი ბაიში კიბორჩხალებს ხატავს,
ტილოდან რომ გაურბიან მხატვარს...“

იქ უნდათ ყოფნა, სადაც იყვნენ, და არა აქ, ამ ტილოზე. მაგრამ გასაოცარი ის კი არ არის, რომ ისინი ახლა აქ, ამ ტილოზე იმყოფებიან, გასაოცარი ისაა, რომ ისინი ტილოდან გარბიან.

საით მიქრიან გოცაძის ცხენები?

უაღვირო, ულაგმო ცხენები. ერთხელაც გურიის ერთ-ერთ სოფელში მე და ცხონებულ გივი ძნელაძეს ოჯახის უხუცესმა დიასახლისმა არყით სავსე ბოთლი ჩამოგვიდგა სუფრაზე და მოაყოლა: „ჯაჭვს არ კადრულობს“. იგივე ითქმის თემო გოცაძის რაშებზე. და მაინც

პური მეპურემ უნდა გამოაცხოს.

მე, რამდენიც გინდა ვისაუბრო მხატვარზე და მის ნახელავზე, ვიცი, გვერდით ვერ ამოუდგება და ვერ აიწონის იმას, რაც შეიძლება გვითხრას ნახატმა და მისმა შემოქმედმა.

ახლა თემო გოცაძეს უნდა გავესაუბრო.

აი, ჩვენი დიალოგიც:

მე: ერთხელ ემზარ კვიტაიშვილს შევეკითხე: შენ თვითონ თუ მოგწონს-მეთქი შენი ლექსების კრებული.

თ.გ.: და რა გიპასუხა?

მე: არათანაბარიაო.

თ.გ.: კარგად უპასუხია. არათანაბარია თავად ჩვენი ცხოვრება.

მე: შენ რას გვეტყოდი შენს შემოქმედებაზე?

თ.გ.: უკვე გითხარი და ეგაა. ხომ გაგვიგონია, ყველა ლექსი ჩემი შვილიაო.

მაგრამ ავტორი მაინც გამოსცემს ხოლმე თავის რჩეულს. ასეა მხატვარიც. აქ გამოფენილი ყველა ნახატი ჩემია, მაგრამ განსხვავებულია ჩემი დამოკიდებულება მათდამი. ზოგი იმიტომ დავხატე, რომ არ შემეძლო არ დამეხატა, ზოგი იმიტომ, რომ ასე მიკარანახა ჩვენმა დროებამ. დაახლოებით ისე, როგორც ლადო ასათიანს უკარნახებდა თავისი უშველებელი პატრიოტიზმი. თუმცა, პოეზია მარტო პატრიოტიზმით არ ამოიწურება. მარტო სამშობლოს სიყვარულით. შენს დარგში შემოვიჭერი, როგორც ვატყობ, მაგრამ ეს ყველაფერი შეიძლება ითქვას ფერწერაზეც. ისე, ბეკეტის ნათქვამს კბილი არ გაესინჯება. მხატვრობა მართლა ფერია. ფერთა შეხამება, ფერთა ღაღადი, ფერთა სიმფონია. და პლასტიკა – ჰარმონია.

მე: მე სწორედ ამ კუთხით მომწონს შენი ნახატები. შენ თითქოს რაღაცგვარი, საკუთარი ფერი შეჰქმენი, რბილი, ჰაეროვანი, გამჭვირვალე. თითქოს ერთ ტილოზე ერთ ფერში მოიყარა თავი მრავალმა ფერმა. ასეთი შთაბეჭდილება მექმნება.

თ. გ.: მთავარია, ჩემო მურმან, ვინ რას უფრო მეტად აღიქვამს. გემოვნებაზე არ კამათობენო, მაგრამ, ჩემი გაგებით, გემოვნებაა სწორედ საკამათო. ფერწერის ზოგიერთ მოყვარულს ნახატის აზრი მოსწონს. ზოგიერთს – ნახატის ფეროვანება. ასე ვთქვათ, პოეზია.

მე: ლექსი უამრავი იწერება, ნამდვილი ლექსი კი იშვიათია.

თ. გ.: იგივე შეიძლება ითქვას ნახატზეც. „დონ-კიხოტში“ წერია, რას ხატავ? ეკითხებიან მხატვარს. მხატვარი უპასუხებს: რაც გამომივა. ანუ მხატვარმა წინდაწინ კი არ იცის მუდამ, როგორი ნახატი გამოუვა. და ასეთი ნახატი არაიშვიათად წინდაწინ მოფიქრებულ ნახატზე უკეთესიც გამოდის. გუნება-განწყობა განაპირობებს მევრ რამეს, ან კარგ გუნებაზე ხარ, ან მოწყენილი ხარ და ეს აისახება ტილოზეც. გუნება-განწყობა და შთაგონება თითქმის ერთი და იგივეა.

აინშტაინი ამბობს: ყველაზე კარგი საქმეა შეშის ჩეხვა. რაც გააკეთე, შენ თვალწინაა.

მე: ესე იგი, შეშის ჩეხვასაც კი სჭირდება გუნება-განწყობა.

თ. გ.: რა თქმა უნდა. საგულისხმოა, რატომ ჩეხავ შეშას, თანაც, როგორ ჩეხავ, იმიტომ რომ აუცილებლად უნდა გააჩაღო ბუხარი თუ იმიტომ, რომ გიხარია შეშის ჩეხვა. რაღაცას გინდა გაუნაწილო შენი სიხარული, შენი ძალონე. შეშა, შეიძლება იმ წუთას არც გჭირდებოდეს, საკმაოდ მოგეპოვებოდეს, მაგრამ მაინც ჩეხავ. აქ შეიძლება თავისი წილი ამინდსაც მიუძღოდეს. ხომ ცხადია, სიგრილეში და სიცივეში უფრო სახალისოა შეშის ჩეხვა, ვიდრე სიცხეში და მხურვალეგაში.

მე: მსგავს ვითარებაზე გვესაუბრება რობერტ ფროსტი ერთ-ერთ ლექსში.

თ. გ.: რობერტ ბერნსი, რობერტ ფროსტი, რობერტ მუზილი... როგორც ჩანს, სახელსაც გააჩნია თავისი მაგია და არა მარტო გვარს, როგორც შენ აღნიშნე.

მე: როგორც ჩანს. ფროსტი ამბობს ლექსის ბოლოში, შრომა, ანუ შეშის ჩეხვა მაშინ არის კარგი და ღირებული, თუკი შრომას შთაგონება (გუნება-განწყობა) ეამხანაგება იმგვარად, როგორც თვალი დაჰყვება თვალს.

თ.გ.: ისე გამოდის, აინშტაინს შედეგი აინტერესებს, ფროსტს – შრომის შთაგონების პროცესი. ერთი მეცნიერია, მეორე – პოეტი. ერთი პირობა, გეხსომება, მთელს იმპერიაში გავრცელებული იყო კამათი ფიზიკოსებსა და ლირიკოსებს შორის.

მე: აინშტაინი ესაუბრება თაგორს და ეკითხება პოეტს, სად არიო ღმერთი. პოეტი უპასუხებს, ღმერთს ჩვენ ვერ დავინახავთ, ის უნდა გვიყვარდესო. მეცნიერს უნდა ხელით შეეხოს ღმერთს, რათა დარწმუნდეს მის არსებობაში, ანუ მიიღოს შედეგი. ჯამი. ამოხსნას ამოცანა. რა შედეგი უნდა მიიღონ, ვთქვათ, შენი გამოფენის დამთვალიერებლებმა?

თ. გ.: ეს იმათ უნდა ჰკითხო. მე არ ვიცი. თანაც შემიძლია გითხრა, რომ ამაზე არც მიფიქრია. შენ როცა ლექსს წერ, ვინმეს თუ გულისხმობ (კონკრეტულად), მოეწონება თუ არა? თუ იმიტომ წერ, რომ არ შეგიძლია არ დაწერო. „არა ვთქვა, არ შემიძლიანო“, – ამბობს ვაჟა, რაც წერის პროცესს, გნებავთ ხატვის პროცესს, შთაგონების პროცესს ამომწურავად გვიხასიათებს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ხელოვანი რამდენადმე კიდევაც ჰგავს ვაჟას, რუსთაველი გვეუბნება: „ჩვენ იმითაც გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად“, რაც დღეის საქართველოში სანატრელია. სანატრელია უბრალოება, სისადავე.

მე: რასაც პასტერნაკი „გაუგონარ უბრალოებას“ ეძახდა.

თ. გ.: უბრალო ის არის, რაც გასაგებია. შენთვის თუ არის გასაგები ჩემი ნახელავი?

მე: როგორ გითხრა. ზოგი რამ არის, ზოგი რამ – არა.

თ. გ.: პირველ სიტყვას ვუბრუნდებით, ცხოვრებაზე რომ ვთქვით, არათანაბარიაო.

მე: ასე გამოდის.

თ. გ.: ესე იგი, დროა, აქვე შევწყვიტოთ ჩვენი დიალოგი, თანაც, საცაა, ტელევიზიიდან უნდა მესტუმრონ.

მე: რამდენიმე მოკლე შეკითხვა დამრჩა, რა შეკითხვებიც დავუსვი ჩვენს საამაყო მეგობარსა და დიდ რეჟისორს.

თ. გ.: ვის გულისხმობ?

მე: თემურ ჩხეიძეს, შენს სეხნიას.

თ. გ.: რა შეკითხვებზეა საუბარი?

მე: მოკლე შეკითხვა დავუსვი: პირველი: თუ სვამ? – აბა! – მიპასუხა. მეორე: თუ ეწევი? – აბა! – მიპასუხა. მეტი შეკითხვა არა მაქვს-მეთქი. ასე გასრულდა ჩვენი დიალოგი. შენ როგორ უპასუხებდი ამავე შეკითხვებს?

თ. გ.: მე, როგორც წესი, მიბაძვის მომხრე არა ვარ, მაგრამ ისიც მინდა ვთქვა, რომ თემურ ჩხეიძის მიბაძვა კაცს სათაკილოდ არ ჩაეთვლება. თუკი ამ დიალოგის, შენი ესეის გამოქვეყნებას აპირებ, კარგი იქნება, სიტყვა „კაცს“ თუ ხაზგასმით ჩასვამ წინადადებაში.

მე: აგაშენა ღმერთმა!

მურმან ჯგუბურია

რედაქციისგან:

ამ ორიგინალური ესეის, ჩანახატის თუ ინტერვიუს ავტორს, გამორჩეული ხელწერის პოეტსა და პუბლიცისტს მურმან ჯგუბურიას ამ დღეებში 80 წელი შეუსრულდა. გულითადად ვულოცავთ მზიანი გულის კაცს, მამულიშვილსა და შემოქმედს საიუბილეო თარიღს და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

◎ წერილი გერმანიიდან

ბერლინალეს დირექტორის დიტერ კოსლიკის გაცილება...

ბერლინალე უკვე მზადაა ახალი ხელმძღვანელის ახალი იდეების განხორციელებისთვის. დიტერ კოსლიკი დაემშვიდობა ბერლინალეს. ფესტივალის დაწყებისას ფეხზე ამდგარი დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს ბერლინალეს უკვე ყოფილ დირექტორს, რომელიც 18 წელი ხელმძღვანელობდა ამ უმნიშვნელოვანეს კინოფესტივალს.

რომელი ფილმი მიიღებდა ჯილდოს, ეს საკითხი დიდხანს იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ. კრიტიკოსები მაღალ შეფასებას აძლევდნენ გერმანელი რეჟისორის ანგელა შანელეკის ფილმს „მე სახლში ვიყავი, მაგრამ“... რეჟისორი ქალი ზედმიწევნით აღწერს ქვრივი დედის შინაგან სამყაროს, მის გადაჭარბებულად ნევროზულ დამოკიდებულებას თავის გარემოსთან. ახალგაზრდა ქალის ამგვარი სტრესული მდგომარეობა კი უსიყვარულობითაა გამოწვეული.

ნორა ფინგშაიდტი თავისი სადებიუტო ფილმით „სისტემის მსხვრეველი“ წარდგა მაყურებლის წინაშე. იგი 9 წლის გოგონას ამბავს მოგვითხრობს. ფილმი საოცარი სიცოცხლის საოცარი ენერგიითაა გამსჭვალული. მთავარი როლის შემსრულებელი ჰელენა ცენგელის მსახიობურმა ოსტატობამ ისე მოგვხიბლა, ვფიქრობთ, იქნებ შესაძლებელია ბავშვებისთვისაც მიეცათ პრიზი როლის საუკეთესო შესრულებისთვის.

ისრაელელი რეჟისორის ნადავ ლაპიდის ფილმი „სინონიმები“ თავიდანვე მოექცა კრიტიკოსების, კინომცოდნეების ყურადღების ცენტრში. არც შემცდარან, ჟიურიმ, მისმა ხელმძღვანელმა – ცნობილმა ფრანგმა კინოვარსკვლავმა ჟულიეტ ბინოშმა ნადავ ლაპიდის ფილმი ოქროს დათვით დააჯილდოვა.

ლაპიდის ფილმში მთავარ როლს ტომ მერსიე ასრულებს. მისი გმირი იოავი ისრაელიდან პარიზში გადადის საცხოვრებლად. სურს, ფრანგი გახდეს, დაივიწყოს თავისი წარსული ცხოვრება. იოავი გაბრაზებულია თავის სამშობლოზე, მრავალი სინონიმიც მოუძებნა მას: „ბარბაროსი“, „ამაზრზენი“, „გულის ამრევი“. საიდან მოდის მისი ეს უსაზღვრო რისხვა სამშობლოს მიმართ, კაცმა არ იცის. თუმცა ადვილი მისახვედრია: ის ხომ ყოფილი სამხედროა. სამხედრო სამსახურში გატარებული ტრავმული განცდები, თავგადასავლები, შემთხვევები მოსვენებას არ აძლევს. მას ებრაულ ენაზეც კი აღარ სურს ლაპარაკი. თან მუდამ ლექსიკონი ახლავს. მიუხედავად დიდი მცდელობისა, იოავი მაინც ვერ ახერხებს საკუთარი იდენტობის უკუგდებას, ვერ ახერხებს თავის წარმომავლობას, თავის წარსულს ხაზი გადაუსვას, უარი უთხრას... ეს არც თუ ისე იოლი საქმე აღმოჩნდება. ჩვენი აზრით, ბერლინალეს უმაღლესი პრიზი – „ოქროს დათვი“ ფილმმა „სინონიმები“ დამსახურებულად მოიპოვა.

ლია ვიტტეკ, ჰელენე ვიტტეკ.
„სრ“ სპეც. კორესპონდენტები

◎ ჩემპიონთა ლიგა

რიბერის მე-100 მატჩი

ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალურ მატჩში „ლივერპული“ შინ „ბაიერნს“ 0:0 დაუზავდა. 81-ე წუთზე მინდორზე რიბერი გამოვიდა და ეს ფრანგისთვის „ბაიერნის“ მაისურით ევროთასებზე გამართული მე-100 შეხვედრა გამოდგა, რომელშიც 21 გოლი აქვს გატანილი.

რიბერიმ გუნდთან ერთად 2012/13 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგა მოიგო. „ბაიერნისა“ და „ლივერპულის“ განმეორებითი ბრძოლა გერმანიაში 13 მარტს მოეწყობა.

მანუჩარ გიორგაძე

ვალვერდე: „ეს ჩვენი საღამო არ იყო“

„ბარსელონას“ მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ „ლიონთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩის შემდეგ (0:0), ჟურნალისტებს უთხრა, რომ მისი გუნდი უკეთესი შედეგის ღირსი იყო. „კარგად ვითამაშეთ. არც მონდომება და ჟინი გვაკლდა, მაგრამ ეს ჩვენი საღამო არ იყო. ვფიქრობ, უკეთეს შედეგს ვიმსახურებდით.

შინ ყოველთვის ძლიერად ვთამაშობთ, თუმცა, პირველი შეხვედრის შემდეგ 0:0 სახიფათო ანგარიშია.“ — განუცხადა ვალვერდემ უეფას პრესსამსახურს.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

მერაბ ბოქოლიშვილი:

ძლიერ მეტოქეთა ძლევა ამ შემადგენლობითაც შეგვიძლია“

საბერძნეთის ძლიერ ნაკრებთან მოახლოებულ შეხვედრას იმედიანად უყურებს საქართველოს კალათბურთელთა გუნდის წევრი მერაბ ბოქოლიშვილი. თბილისის „დინამოს“ მოთამაშემ დღეისათვის დაგეგმილი მატჩის შესახებ კომენტარი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეს-სამსახურთან გააკეთა.

„მგზავრობის შემდეგ აღდგენითი ხასიათის ვარჯიში გვქონდა და დიდი დატვირთვა არ მიგვიღია. სამწუხაროდ, კვლავ გვაქვს დანაკლისი, თუმცა, ამ შესარჩევში გამოჩნდა, რომ ამ შემადგენლობითაც ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია. ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, საბერძნეთი საკუთარ კედლებში როგორი მრისხანეა, მომავალი ბრძოლის მოსაგებად ყველაფერს გავაკეთებთ“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლაურეატები

საუკეთესოა ჯოკოვიჩი

მონაკოში Laureus World Sports Awards-ი გაიმართა. სადაც 2018 წლის საუკეთესო სპორტსმენად სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი აღიარეს.

მან შარშან უიმბლდონი და ამერიკის ღია პირველობა მოიგო. ასევე, მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელობა დაიბრუნა.

საუკეთესო ქალი სპორტსმენის ტიტული ამერიკელმა ტანმოვარჯიშემ სიმონ ბეილსმა მოიპოვა, ხოლო გასული სეზონის საუკეთესო გუნდად ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები დაასახელეს.

აღნიშნული ტიტული ყველაზე მეტჯერ — ექვსჯერ როჯერ ფედერერს აქვს მოგებული.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

საჩუქარი ბარ რაფაელს

საყოველთაოდაა ცნობილია ებრაელი მოდელის ბარ რაფაელის გატაცება ფეხბურთით და არც ისაა დაფარული, რომ ეს კოხტა ასული უკანასკნელი წლების განმავლობაში ყველაზე მეტად „ბარსელონაზეა“ გულშევარდნილი და გადარეული.

ერთი ისაა, რომ ამ ბოლო პერიოდში რაფაელი ფიზიკურად ვეღარ ახერხებს (შეიძლება სულაც კატალონიელთა არცთუ გადასარევი ბურთაობის გამო) „კამპ ნოუზე“ მისვლას, რაც ფეხბურთელთათვის ალბათ ნაკლებად, მაგრამ „ბლაუგრანას“ ქომაგთათვის კი ნამდვილად დიდი პრობლემა გახლავთ. ამ აუნაზღაურებელი დანაკლისის აღმოსაფხვრელად საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ პიარჯგუფმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მათ ქომაგ დაახლოებით 40-მდე ცნობილ პერსონას და მათ შორის ბარ რაფაელსაც „კამპ ნოუს“ ტრიბუნებზე ადგილი მუდმივად დაჯავშნული ექნებათ და მათ ნებისმიერი რანგის მატჩზე მარტივად შეეძლებათ დასწრება. თუკი ნამდვილი ქომაგი ხარ, ასეთ დიდებულ შემოთავაზებაზე უარს, აბა, როგორ იტყვი?...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ეროვნული სიამაყე

მივხედოთ ქართულ ჭიდაობას!

ამ წერილის დაწერა ჭიდაობის სამყაროში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა მიკარნახა. მოგეხსენებათ, იუნესკომ მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ქართული ჭიდაობა შეიტანა, რომელიც ჩვენს სამშობლოში ერთ-ერთი უძველესი და ფართოდ გავრცელებული სახეობაა, ხოლო საქართველოში ფალავნობას თითქმის საუკუნოვანი ისტორია გააჩნია. პირველად იგი უკვე შორეულ 1926 წელს გაიმართა და ამჟამადაც ყოველწლიურად სეზონის ბოლოს ეწყობა.

ჩვენში არცერთი სახალხო დღესასწაული ისე არ ჩაივლიდა, რომ ქართულ ჭიდაობას არ დაემშვენებინა. აქტიურობით გამოირჩეოდნენ ქართლისა და კახეთის რეგიონები, თუმცა, ბოლო ათწლეულებში მისდამი ინტერესმა აშკარად იკლო და ეს საქმე ახლა მხოლოდ ენთუზიასტთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. არადა, სწორედ ასეთი ტურნირებიდან მოდიოდნენ ნიჭიერი თაობები, რომლებიც შემდგომ დიდ წარმატებებს აღწევდნენ საერთაშორისო ასპარეზზე.

მართალია, ამჟამად სასპორტო სკოლებში ქართული ჭიდაობის ჯგუფები არსებობს, მაგრამ ისინი მხოლოდ ქაღალდზე იწონებენ თავს და ყოველგვარ ფუნქციას მოკლებული არიან. რეგიონთა უმეტესობაში ქართული ჭიდაობა და სამბო ფონს ძიუდოს ხარჯზე გადის, ამიტომ აუცილებელია საქმე სიკეთისკენ დაიძრას და ეს ქართული ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობის უპირველესი საზრუნავი გახდეს.

დღევანდელი გადასახედიდან ფედერაციის მხრიდან ასეთ მზაობას ვერავინ გრძნობს. ის კი არა, ქართული ჭიდაობის ავ-კარგზე სახელმწიფო აუდიტის დასკვნას რომ წაიკითხავ, იმ წამსვე თვალში ფედერაციის პრეზიდენტის „მზრუნველი ხელი“ მოგხვდება — ჭიდაობის ოჯახმა მხოლოდ ის იცის, როგორ გაანაწილოს პრემიები და ისიც — მახინჯი ფორმით.

ქართული ჭიდაობა ერის სიამაყე და თითოეული ქართველის საკუთრებაა, რის დასტურადაც კახეთში, ალავერდის ტაძარში მე-11 საუკუნის ფრესკაზე გამოსახული, ჩოხისმაგვარ სამოსში გამოწყობილი ორი მოჭიდავის ბრძოლის სცენა გამოდგება.

იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ ჭიდაობა კარგად ვიცით, ჩემპიონებიც მრავლად გვყავს, მაგრამ მმართველ რგოლებში გვაქვს ძალიან სერიოზული პრობლემები, რომლებსაც ვერანაირად ვერ დავმალავთ.

საერთაშორისო აღიარება საამაყოა და ისე ნუ მოვიქცევით, რომ ქართული ჭიდაობა მხოლოდ ფრესკაზე შემორჩეს, ხოლო უცხოური აღიარება ფარატინა ქაღალდად დარჩეს.

ორიოდე სიტყვა ზურაბ დათუნაშვილზეც ვთქვათ: ასეთ წარმატებულ სპორტსმენს უღირსად არ უნდა მოექცე, თორემ მისი დარი ტალანტისათვის ყველა ქვეყნის კარი გაიღება. გვეყოს გონიერება — სპორტსმენს ასე არსად არ ექცევიან. ნაკრების მაისური არც სპორტსმენისაა და არც მწვრთნელის საკუთრება, იგი ჩვენი ქვეყნის საზოგადოების კუთვნილებაა.

ბეჟან ჩხეიძე,
ზესტაფონი.

არდავიწყება

ციალა კანდელაკი

ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა — მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, მხატვარი-ფერმწერი **ციალა კანდელაკი**.

დაიბადა 1930 წლის 29 მარტს. 1952-58 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე. მისი პედაგოგები იყვნენ: ი. გაბაშვილი, უ. ჯაფარიძე, გ. ჯაში, კ. სანაძე. მხატვრის სადიპლომო ნამუშევარი იყო „ქართლის დედა“ (ხელმძღვანელი უ. ჯაფარიძე). იგი 1958 წლიდან დღემდე აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, რეგიონალურ და საკავშირო სამხატვრო გამოფენებში, მოწყობილი აქვს პერსონალური გამოფენები.

ქალბატონი ციალა კანდელაკის ნამუშევრები დაცულია საქართველოს სამხატვრო გალერეების ფონდებსა და კერძო კოლექციებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ესპანეთში, რუსეთში, პოლონეთსა და მრავალ სხვა ქვეყანაში.

ქ-ნი ციალა კანდელაკი მონაწილეობდა საქართველოს მხატვართა კავშირის, კულტურის სამინისტროსა და ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში. მიღებული აქვს ჯილდოები, დიპლომები და სიგელები.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ქალბატონი ციალა კანდელაკი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1958-2007 წ.წ.-ში იგი იყო თბილისის ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ხატვისა და ფერწერის კაბინეტის გამგე და სახვითი ხელოვნების წრეების პედაგოგი. მას დიდი წვლილი მიუძღვის არაერთი წარმატებული ხელოვანის აღზრდაში.

წავიდა ჩვენგან ნიჭიერი, განათლებული, უკეთილშობილესი, თავდადებული მეგობარი და დაგვიტოვა დიდი ნაღველი და გულისტკივილი.

ქალბატონი ციალა კანდელაკის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი ხელოვნების თაყვანისმცემლების, ოჯახის, კოლეგების, მეგობრებისა და მისი აღზრდილების ხსოვნაში.

საქართველოს მხატვართა კავშირი.

გახსენება

ჯილდა (ჩიტო) გურგენიძე

მალე გამოგყვები, ზაურ, და ისევ ერთად ვიქნებით — ასე გააცილა ძვირფასი მეუღლე უკანასკნელ გზაზე **ჯილდა (ჩიტო) გურგენიძემ**.

როგორც ყოველთვის, მან, სამწუხაროდ, პირობა ამჯერადაც შეასრულა და დღეს უკვე ორივენი უკვდავების ბინადარნი არიან.

ალბათ, ამქვეყნად ერთმანეთისთვის მოვლენილი ამ სამაგალითო წყვილის ზღაპრული სიყვარულისა და ერთგულების საკრალურ გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ ის ბედისწერა, რომელიც ჯანსაღი სხეულითა და ჯანსაღი სულით გამორჩეულ ღვთისნიერ ქალბატონს მოუმზადა უფალმა: უბედური შემთხვევის შედეგად წელიწადზე მეტხანს სიკვდილთან ღირსეულად მებრძოლის თანამედროვე მარტვილობა, სიმბოლურად, საუკუნეთა სიღრმეში წმინდა ქეთევან წამებულის საშვილიშვილო გმირობას გაგახსენებდა კაცს.

საამაყო შთამომავლობაზე გადაგებული ჩიტო დეიდას გარდაცვალება, უნებურად, იმაზეც დაგაფიქრებს, ნუთუ მართლა ერთადერთი — ბიოლოგიური დედა შეიძლება ჰყავდეს ადამიანს? დიახ, მისი მშობლიური ამაგით ნასაზრდოებ შვილობილთა სიმრავლე ლოგიკურად აჩენს ასეთ კითხვას.

მათი სახელით, ცად ამაღლების მეორმოცე დღეს, თავს უფლებას ვაძლევ, მარადიული მადლიერება გამოვხატო მის მიმართ.

ნათელი და სანთელი, ჩიტო!

გია პლატონიშვილი.

თურქეთის ქალაქ კაისერის ბორდელებში საქართველოს 5 მოქალაქე დააკავეს

თურქეთის ქალაქ კაისერის სასტუმროებსა და ე.წ. ბორდელებში არალეგალური მიგრაციისა და პროსტიტუციასთან ბრძოლის ფარგლებში ოპერაციები ჩატარდა.

ოპერაციის შედეგად, დაკავებულია საქართველოს 5, აზერბაიჯანის 5 და თურქეთის 1 მოქალაქე. ადგილობრივი სამართალდამცველების ინფორმაციით, ყველა დაკავებული 20-23 წლის ახალგაზრდა ქალია, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზე არალეგალურად იმყოფებიან.

ავტომანქანიდან სიგარეტის ნამწვის გადაგდებისთვის 161 მძღოლი დაჯარიმდა

1 იანვრიდან დღემდე ავტომანქანიდან სიგარეტის ნამწვის გადაგდებისთვის სამართალდარღვევის 161 ოქმი შედგა, — ინფორმაციას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს.

2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება 80 ლარის ოდენობით საჯარიმო სანქციას ითვალისწინებს, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან — 120 ლარის ოდენობით.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, მთელი საქართველოს მასშტაბით აგრძელებენ 24-საათიან პატრულირებას, როგორც სიგარეტის ნამწვის ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან გადმოგდების, ისე ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის, სხვა ფაქტების გამოსავლენად.

ბათუმის ჰოსპიტლიდან პაციენტი დაიკარგა

ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტლიდან პაციენტი დაიკარგა — აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას TV 25 ავრცელებს. 78 წლის კაცი დაწესებულებაში გუშინ გვიან ღამით გულის უკმარისობით მოათავსეს, რომელიც ჟანგბადზე იყო მიერთებული. ხანდაზმული სამედიცინო დაწესებულების პალატიდან გუშინ, დილით ისე გავიდა, რომ ამის შესახებ პერსონალს და დაცვის სამსახურს არაფერი გაუგია.

როგორც ახლობლები აცხადებენ, დაკარგულ პაციენტს ბათუმის ქუჩებში უშედეგოდ ეძებდნენ.

სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიკოს სიმონ ხეჩინაშვილის მეუღლე

ლალი მიქელაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

ზურაბ ამაშუკელის მეგობრები — ანზორ ახვლედიანი, ჯემალ გოგიჩაძე, მიხეილ ესაკია, ირაკლი მეგრელაძე, ალექსანდრე მეტრეველი, მერაბ ნიკოლაიშვილი, თამაზ ჩხიკვაძე, საბა ჭელიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ზურაბის ძმა

ირაკლი ამაშუკელი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ოთარ ჭითანავა, გურამ გუნავა, ზურაბ გოგოხია, ნუგზარ იზორია, ჯამბულ წულაია თანაუგრძნობენ ბატონ რეზო ამაშუკელს ძმის

ირაკლი ამაშუკელის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს, ნათესავებსა და საახლობლოს.

განცხადება №1

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2015 წლის 2 დეკემბერს გარდაცვლილი მოქალაქე ოლღა ლებედევას (პ/ნ 61001023728) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე მისამართზე: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. №70 (ს/კ 05.08.08.011.01.504) უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში, მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №10, ბინა 28.

განცხადება №2

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2001 წლის 23 აპრილს გარდაცვლილი ბატონი ალექსანდრე ვასილის ძე პავლოვსკის (დაბ: 23.03.1925 წ. გარდაცვალების მოწმობა II-AK № 760920) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე მისამართზე: ქ. ბათუმი, ნონეშვილის ქუჩა №54 (ს/კ 05.30.09.048) 1/4 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში, მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №10, ბინა 28.

პოლიციამ ბათუმში სწრაფი ჩარიცხვის 14 აპარატის გაქურდვის ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქურდობისა და თაღლითობის ბრალდებით, 1992 წელს დაბადებული თ.ც. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ბათუმში, სხვადასხვა დროს, სწრაფი ჩარიცხვის 14 აპარატი გაქურდა. ბრალდებული იმავე აპარატების საშუალებით ინტერნეტტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ანგარიშზე თანხების თაღლითური გზით გადარიცხვასაც ცდილობდა.

საქართველოს კულტურის ფონდის თანამშრომლები ვულოცავთ ჩვენს სიამაყეს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ბატონ

თამაზ შილაკაძეს

დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სელფი და ბავშვების ფსიქიკა

მათთვის, ვისაც სმარტფონები აქვთ, სელფის გარეშე დღე ალბათ, ვერ წარმოუდგენიათ. თუმცა ამ ტიპის ფოტო სკოლის ზოგიერთ მოზარდში უარყოფით გავლენასაც ახდენს და ფსიქოლოგიურ პრობლემებსაც იწვევს. სელფის გამო მოზარდები საკუთარ გარეგნობაზე მეტად დარდობენ და ფიქრობენ, რომ სოციალური მედია მათგან გამხდარ ტანს მოითხოვს.

ამასთან, თინეიჯერები საკუთარ აღნაგობას ხშირად ადარებენ მეგობრების მიერ სოციალურ ქსელებში ატვირთულ ფოტოებს. მეცნიერები შიშობენ, რომ ფოტოების გამო ბევრ ადამიანს საკუთარი გარეგნობის მიმართ პროტესტი უჩნდებათ. არ მოსწონთ თავიანთი სახე, ტანი და ცდილობენ სხვას დაემსგავსონ, რაც ბუნებრივია, ხშირად არ გამოსდით, ეს მათ დათრგუნვას იწვევს. ყველაფერი კი მათ ხასიათზეც აისახება.

ყველაზე უსაფრთხო ავტომობილი

Euro NCAP-ის ექსპერტებმა 2019 წელს ყველაზე უსაფრთხო ავტომობილების სია შეადგინეს. ტესტ-დრაივის შედეგები პორტალ CarBuyer-ზეა გამოქვეყნებული. კატეგორიაში „საშუალო ზომის საოჯახო მანქანა“ Mercedes-Benz A-Class დასახელდა, რომელიც მგზავრების უსაფრთხოებას 96%-ით უზრუნველყოფს.

მეორე ადგილზეა Ford Focus, ხოლო მესამეზე Nissan Leaf. პირველ კატეგორიაში „დიდი საოჯახო მანქანა“ ყველაზე უსაფრთხოდ Audi A6 დასახელდა. მეორეა Mazda 6, ხოლო მესამე Volvo60. კროსოვერებს შორის ყველაზე საიმედოდ ექსპერტებმა BMW X5 დაასახელეს, რომელიც უსაფრთხოებას 89% ით უზრუნველყოფს. მეორე ადგილზეა Volkswagen Touareg, ხოლო მესამეზ ე Jaguar I-Pace.

წარმატებულ ბიზნესმენებო, გონიერო ქველმოქმედნო, მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ბიჭუნა სახელად JETBLUE

JetBlue-ის ბორტზე, რომელიც პუერტო რიკოდან აშშ-ის ფლორიდას შტატის მიმართულებით ასრულებდა რეისს, ბავშვი დაიბადა.

ამის აღსანიშნავად JetBlue-ს სურს, რომ ამ საჰაერო ხომალდს მასზე დაბადებული ბიჭუნას სახელი დაარქვან. გარდა ამისა, ჩვილი ავიაკომპანიისგან მთელი სიცოცხლის განმავლობაში უფასო მგზავრობის უფლებას მიიღებს.

პოპ-მუსიკის ლეგენდას კვლავ უჩივიან

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მუსიკის ვარსკვლავი მაიკლ ჯექსონი 2009 წელს გარდაიცვალა, მისი სახელის შებღალვას სიკვდილის შემდეგაც ცდილობენ. სიცოცხლეში მის წინააღმდეგ არაერთი ბრალდება იქნა წაყენებული. მის წინააღმდეგ აღძრული ძიება პედოფილიურ დანაშაულებთან დაკავშირებით დღემდე არაა დახურული.

ამჯერად ახალი მსხვერპლი გამოჩნდა. ამერიკელი ადვოკატი ვინს ფინალდი აცხადებს, რომ 80-იან წლებში ჯექსონის მსხვერპლი კიდევ ერთი 13 წლის გოგონა გახდა. ადვოკატი ამტკიცებს, რომ დაზარალებულმა, რომელიც ახლა 50 წლის გახლავთ, მას არა-ერთი საბანკო ამონაწერი აჩვენა, რომელსაც ვარსკვლავის საპროდიუსერო კომპანია დუმილის სანაცვლოდ ქალბატონს უხდიდა. როგორც ჩანს, ჯექსონის წინააღმდეგ აღძრული საქმეები კიდევ დიდხანს იქნება განხილვის საგანი.

კარლ ლაგერფილდმა საყვარელ კატას მილიონები დაუტოვა

მსოფლიო მოდის ინდუსტრია „Chanel“-მოდის სახლის დირექტორის, ლეგენდალური კარლ ლაგერფილდის გარდაცვალებას გლოვობს. მგლოვიარეა მისი საყვარელი კატა სახელად „შუპეტი“, რომელსაც დიზაინერმა ანდერძის მიხედვით მილიონები დაუტოვა.. ცისფერთვალა, ბენგალური ჯიშის კატა მოდელიორის სახლში შემთხვევით აღმოჩნდა და მას შემდეგ მის განუყრელ მეგობრად იქცა.

„შუპეტ ლაგერფილდს“ — საკუთარი სოციალური გვერდი აქვს: ტვიტერზე, ფეისბუქზე და ინსტაგრამზე, ამასთან ერთად, პირადი ანგარიშიც ბანკში. ფისუნიამ ლაგერფილდთან ერთად სარეკლამო ვიდეოებშიც მიიღო მონაწილეობა. მას „Opel Corsa“-ს და კოსმეტიკური ფირმის „Shu Uemura“-ს სარეკლამო რგოლებიდან 3 მილიონი ევროს ჰონორარი აქვს აღებული. ეს თანხაც კუტურიემ კატას და მის მომვლელებს დაუტოვა. კარლ ლაგერფილდი 85 წლის ასაკში 19 თებერვალს სიმსივნით გარდაიცვალა.

ჩვენი ბავშვობის საყვარელ მულტფილმებს 50 წელი უსრულდებათ

მიუხედავად იმისა, რომ მეზობელ რუსეთთან არც თუ სახარბიელო ურთიერთობა გვაქვს, რუსულ ანიმაციებზე მაინც თობები იზრდება. როგორც აღმოჩნდა, ყველასთვის საყვარელი „აბა, დამაცადე“, „ბრემენელი მუსიკოსები“, „მაუგლი“ და „ჩიბურაშკა და ნიანგი გენა“ წელს იუბილარები არიან და 50 წელი უსრულდებათ.

ამ თარიღთან დაკავშირებით „სოიუზმულტფილმი“ აპირებს ამ ანიმაციების ახალი სერიების გადაღებას. გარკვეულწილად ეს იქნება გაგრძელებაც, კომიქსიც და მოკლე ისტორიებიც ამ მულტფილმების გმირების მონაწილეობით. იმედია, ჩანაფიქრი ისევე საინტერესო იქნება, როგორც წლების წინათ გადაღებული უბერებელი ანიმაციები.

მოამზადა რუსუდან ქობულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6498; ევრო - 2.9977;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4246
100 რუბლი - 4.0023; თურქული ლირა - 0.4988;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5633;
1000 სომხური დრამი - 5.4321.

ამინდი 21 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	-11,	დღე	+10
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+14
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+11
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge